წმინდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

განათლების მიმართულება

ნინო საფარიძე

მედიაწიგნიერების კომპეტენციაზე დაუფლების მნიშვნელობა სასწავლო პროცესში

ნაშრომი წარმოდგენილია განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი:

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

პროფესორი: დედა ბარბარე (მეგრელაძე)

ხიჭაური

2021

ანოტაცია

ნინო საფარიძის ნაშრომი „მედიაწიგნიერების კომპეტენციაზე დაუფლების მნიშვნელობა სასკოლო განათლებაში” განიხილავს აქტუალურ თემას მედიაწიგნიერების კომპეტენციასთან დაკავშირებით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლეა მედიაწიგნიერებასთან დაკავშირებული კვლევებისა და ნაშრომების ძირითადი საკითხების სასწავლო პროცესში გამოყენების შესაძლებლობა. განხილულია მედიაწიგნიერების კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სხვა კომპეტენციებთან, აღნიშნულია მულტიმედიის საგანმანათლებლო პოტენციალის სწორად გამოყენების მნიშვნელობა.

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა არის მედიაწიგნიერებასთან დაკავშირებული უახლოესი კვლევები და ნაშრომები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობაა დაეხმაროს მასწავლებელს მედიაწიგნიერების შესახებ ცოდნის გაღრმავებაში. გამოიყენოს მასალები მოცემული პრაქტიკული გამოყენების ჩვენებით, რეკომენდაციების სახით, რაც ზრდის მისი პრაქტიკული გამოყენების ხარისხს.

ნაშრომში განხილული საკითხები დაკავშირებულია სასკოლო გამოცდილებასთან. წყაროების მიმოხილვასთან ერთად მოცემულია რჩევებისა და რეკომენდაციების შესრულების ამსახველი მასალები.

Annotation

Nino Sapharidze's master thesis "The Importance of Mastering Media Literacy Competence in School Education" considers a topical issue which is related to media literacy competence.

The possibility of applying researches and theses on key issues related to media literacy in the teaching process is the scientific novelty of the thesis. The thesis considers the connection of media literacy with other competencies foreseen by the National Curriculum, as well as emphasizes the importance of using of multimedia educational potential is properly.

The theoretical significance of the presented work is the recent researches and theses related to media literacy.

The practical significance of the paper is to help the teacher to deepen their knowledge of media literacy; to Use materials with indication of the given practical use, and in the form of recommendations, which increases the quality of its practical using.

The issues considered in the paper are related to school experience. Along with a review of the sources there are materials that suggest tips recommendations.

შინაარსი

თავი I. მედიაწიგნიერება როგორც გამჭოლი კომპეტენცია

შესავალი 5

§ 1. მედიაწიგნიერების რაობა და მისი კავშირი სხვა კომპეტენციებთან და სწავლის შედეგებთან 10

§ 2. მულტიმედია ტექსტები, როგორც საგანმანათლებლო პოტენციალი.....18

§ 3. მედიარესურსების გამოყენების გამოცდილება 24

თავი II. კვლევები და ნაშრომები მედიაწიგნიერების კომპეტენციასთან მიმართებაში

§ 4. მედიაწიგნიერების კომპეტენცია - სანდო უნარი, რომელიც გვჭირდება.....30

§ 5. ინფორმაციისადმი უფროსკლასელთა დამოკიდებულება.....34

§ 6. ციფრული ინსტრუმენტები მედიაწიგნიერებისათვის.....42

§ 7. მედიის სასწავლო პროცესში გამოყენების ეფექტური საშუალებები.....45

დასკვნები.....59

ლიტერატურის დასახელება.....61

შესავალი

თემის აქტუალობა: ეროვნული სასწავლო გეგმა ყველა სასწავლო საგნისთვის განსაზღვრავს 13 გამჭოლ კომპეტენციას, მათ შორის მედიაწიგნიერებას. ამ კომპეტენციის დაუფლების საჭიროება განაპირობა ელექტრონული ტექნოლოგიების განვითარებამ. სასკოლო განათლება ახალი გამოწვევის წინაშე დადგა. საგანმანათლებლო საქმიანობა იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ ტექნოლოგიური პროცესის ანუ კომპიუტერის, ინტერნეტის, პრესის და სხვა მედია საშუალების სწორმა და მიზნობრივმა გამოყენებამ სწავლა, სწავლება, აღზრის პროცესს შეუწყოს ხელი და არა პირიქით. მასწავლებლებმა უნდა მოამზადონ მოსწავლეები მედიასთან ურთიერთობისთვის. ამ მიმართულებით გაჩნდა პრობლემები, რომელმაც მოიცვა მედიასთან ურთიერთობის კულტურის ფორმირებისათვის აუცილებელი კომუნიკაციური უნარ-ჩვევების, კრიტიკული აზროვნების, ინფორმაციის სრულყოფილად აღქმის, მედიატექსტების ინტერპრეტაციის, ანალიზის და შეფასების უნარ-ჩვევების განვითარება, სხვადასხვა აქტივობების განხორციელება მედიატექნიკის საშუალებით.

მწვავე პრობლემად წარმოჩინდა მედიასაშუალებების გამოყენება გონივრულ და წინასწარ გათვლილი შედეგების მისაღწევად, კრიტიკული დამოკიდებულების განვითარება სხვადასხვა მედიაინფორმაციებისადმი.

მკლევართა მოსაზრებით მედიაწიგნიერებაში გაურკვეველ პიროვნებას საზიანო გზავნილების ნაკადი წალეკავს და სარგებელს ვერაფერს მიიღებს. საჭიროა მასმედიისგან გზავნილების უამრავი ინფორმაციის მიღება, დაწერილის წაკითხვა, შეტყობინების გადაცემა, ინფორმაციის დამუშავება, გამოყენება და ა.შ. უმχობესად იქნა მიჩნეული, რომ ცვლილებებთან და ცვალებად სამყაროსთან შეგუება უნდა მოვახდინოთ ისე, რომ თავიდან ავიცილოთ უარყოფითი და გამოვიყენოთ დადებითი.

განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა ინფორმაციის სხვადასხვა ცოდნის სახეებში გარკვევამ. ესაა გზავნილი, ფაქტობრივი ინფორმაცია, სოციალური ინფორმაცია.

გზავნილი ის ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც ინფორმაცია ჩვენამდე აღწევს. ინფორმაცია გზავნილების შინაარსია, იგი შეიძლება გავავრცელოთ სხვადასხვა მედიით: კომპიუტერებით, სმარტფონებით, ტელევიზიით, რადიოთი, კომპიუტერული დისკებით, ვიდეოთამაშებით, წიგნებით, გაზეთებით, ჟურნალებით, ვებგვერდებით, საუბრებით, ლექტორებით, კონცერტებით, საგზაო ნიშნებით, ეტიკეტებით და სხვა.

გზავნილი ორი სახის ინფორმაციისგან შედგება: ფაქტობრივი და სოციალური. ფაქტი არის გადამუშავებული, დამოუკიდებელი. სოციალური ინფორმაცია შედგება შეხედულებებისგან, ნაკლებად რეალური და ნაკლებად სანდოა.

გზავნილებში კარგად გარკვევისათვის საჭიროა ანალიზის შეფასების, დაჯგუფების, განზოგადების, ერთ სტრუქტურად გაერთიანების, მოვლენის აღწერის უნარის განვითარება.

ინფორმაციას როცა ვახსენებთ, მის მრავალფეროვნებას ვგულისხმობთ, რომელიც ყველა სასწავლო საგანს ეხმიანება. მისი მიზნობრივი გამოყენება ამაღლებს სწავლების ხარისხს.

დადგენილია, მედიასაშუალებების ფართო გავრცელებამ და თითოეული ადამიანის ცხოვრებაში შემოჭრამ განაპირობა მედიაწიგნიერების მნიშვნელობა და აუცილებლობა, რადგან სწორედ მედიაწიგნიერება აძლევს ადამიანს საშუალებას გაიკვლიოს გზა ინფორმაციულ ლაბირინთებში, მოიპოვოს და აღიქვას მისთვის სასარგებლო ინფორმაცია, მოახდინოს მისი სწორი გაანალიზება და აღქმა. თანამედროვე რეალობა უკვე კარგა ხანია წარმოუდგენელია მასობრივი მედიასაშუალებების გარეშე, რომლებიც გვკარნახობს ცხოვრების სტილსა და რიტმს, განსაზღვრავს ჩვენს გემოვნებასა და ინტერესებს, გვიყალიბებს ქცევის ნორმებსა და აზროვნებას. სწორედ იმის გამო, რომ მედიასაშუალებები იქცა ჩვენი ყოველი წამის განუყოფელ ნაწილად, და სწორედ იმის გამო, რომ ჩვენ, XXI საუკუნის თაობას მივეკუთვნებით მედიაეპოქას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმ ხერხების, უნარ-ჩვევისა და კომპეტენციების ფლობა, რომელიც საშუალებას მისცემს თითოეულ ადამიანს გაუმკლავდეს მედიაარხებით გადმოცემული ინფორმაციის სიდიდესა და მრავალფეროვნებას. ამასთან, საჭიროა მოხდეს მედიაკომპეტენციების დაუფლება.

სასკოლო პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ მედიაწიგნიერების კომპეტენციის დაუფლება ძირითადად მიმდინარეობს იმ გაკვეთილებზე, რომელიც გამჭოლ კომპეტენციებზეა ორიენტირებული. ოცდაათი გაკვეთილის გეგმის შესწავლამ (ქართული

ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა, ბიოლოგია) ცხადყო, რომ მედიაწიგნიერების კომპეტენციის დაუფლებაზე ზრუნავენ მასწავლებლები და უმეტესწილ შედეგი აქვთ, მოსწავლეებს შეუძლიათ ინფორმაციის მოძიება, გამოყენება, გზავნილების გაცვლა, რესურსების შექმნა და ა.შ. მაგრამ მედიაწიგნიერებასთან დაკავშირებით პრობლემები თან არის.

ერთ-ერთი პრობლემა ეს არის მედიაწიგნიერება და მასწავლებელი. საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების გაცნობამ ცხადყო, რომ წმინდა ტბელ აბუსერიძის უნივერსიტეტში განათლების მიმართულებაზე 2012 წლიდან ისწავლება სასწავლო კურსი მედიაგანათლება. და მომავალი მასწავლებლები გაცნობილი არიან ძირითან საკითხებს, მაგრამ მოქმედი მასწავლებლები მედიაწიგნიერებას სიღრმისეულად ვერ იცნობენ. ამ მიმართულებით არც ტრენინგები ტარდება. როგორც გასაუბრებამ ცხადყო მასწავლებლებს სურთ მეტი იცოდნენ მედიაწიგნიერების შესახებ. ეს ვრცელი და რთული თემაა, მით უმეტეს, რომ საქართველოში ამ მიმართულებით ორიოდე კვლევაა ჩატარებული და რამდენიმე ნაშრომია. გადავწყვიტე შევჭიდებოდი პრობლემას და სამაგისტრო ნაშრომის თემად ავირჩიე მედიაწიგნიერების კომპეტენციასთან დაკავშირებული პრობლემები.

კვლევის მიზანი: კვლევების და ნაშრომების ანალიზის საფუძველზე მედიაწიგნიერების კომპეტენციაზე დაუფლების მნიშვნელობის განსაზღვრა სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლებისათვის.

კვლევის ამოცანები: 1. გაანალიზდეს მედიაწიგნიერების რაობის შესახებ მოსაზრებები, და მისი კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სხვა კომპეტენციებთან.

2. განხილულ იქნას მულტიმედიის საგანმანათლებლო პოტენციალი.

3. შესწავლილ იქნას მედიარესურსების გამოყენების გამოცდილება.

4. გაანალიზდეს მედიაწიგნიერებასთან დაკავშირებული კვლევები, ნაშრომები და მათი გამოყენების შესაძლებლობები.

კვლების მეთოდები: სამაგიდე კვლევა, წყაროების ანალიზი, დაკვირვება, ინტერვიუ, ინტერნეტ გამოკითხვა, დიაგრამების შედგენა, ინტერნეტრესურსების მოძიება, დახარისხება, გამოყენება.

კვლევის ბაზა: წმინდა ტბელ აბუსერიძის უნივერსიტეტის ეროვნული ბიბლიოთეკა, პირადი ბიბლიოთეკა, ზვარეს საჯარო სკოლა.

კვლევის მეცნიერული სიახლე: ნაშრომში გაანალიზებულია მედიაწიგნიერებასთან დაკავშირებული კვლევებისა და ნაშრომების ძირითადი საკითხების სასწავლო პროცესში გამოყენების შესაძლებლობა. განხილულია მედიაწიგნიერების კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სხვა კომპეტენციებთან, აღნიშნულია მულტიმედიის საგანმანათლებლო პოტენციალის სწორად გამოყენების მნიშვნელობა.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა: ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია მედიაწიგნიერებასთან დაკავშირებული უახლესი კვლევები და ნაშრომები.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომში თეორიული მასალა ისეა განხილული და გაანალიზებული, რაც ქმნის შესაძლებლობას მედიაწიგნიერების შესახებ ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას. მასალები მოცემულია პრაქტიკული გამოყენების ჩვენებით, რეკომენდაციების სახით, რაც ზრდის მისი პრაქტიკული გამოყენების ხარისხს.

კვლევის აპრობაცია: კვლევის მასალები გაეცნო განათლების მაგისტრებს სემინარზე.

კვლევის გამოყენების სფერო: განათლების მიმართულების ბაკალავრიატის სტუდენტები, სკოლის სხვადასხვა სასწავლო საგნის მასწავლებლები, დაინტერესებული პირები.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავის, შვიდი პარაგრაფის, დასკვნებისა და ლიტერატურის დასახელებისაგან.

ნაშრომის მოკლე შინაარსი

I თავის - „მედიაწიგნიერება როგორც გამჭოლი კომპეტენცია“ I პარაგრაფში „მედიაწიგნიერების რაობა და მისი კავშირი სხვა კომპეტენციებთან და სწავლის შედეგებთან“ გაანალიზებულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სხვა გამჭოლ კომპეტენციებთან და ნაჩვენებია თუ რითი უწყობს ხელს მათი გამოყენება სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლებას.

II პარაგრაფში მულტიმედია ტექსტები, როგორც საგანმანათლებლო პოტენციალი განხილულია, რომ მულტიმედია ხელს უწყობს სწავლების ეფექტურობას. მულტიმედიური საშუალებები მოსწავლეებში იწვევს სიხარულს, რომელიც თავის მხრივ მასტიმულირებელ როლს თამაშობს შესასწავლი საკითხებისადმი, ინტერესისა და განწყობის ამაღლებაში.

III პარაგრაფში მედიარესურსების გამოყენების გამოცდილება გამოყენებულია მასწავლებელთა მიერ აღწერილი და გამოცდილება, რომლებიც გამოქვეყნებულია ნაშრომებში, სტატიებში, ბლოგებში.

II თავის „მედიაწიგნიერების პრობლემები კვლევებსა და ნაშრომებში“ IV პარაგრაფში „მედიაწიგნიერების კომპეტენცია - სანდო უნარი, რომელიც გვჭირდება“ გაანალიზებულია, სწორი ინფორმაციის პოვნა და შეფასება ვისიმე მოთხოვნილების შესაბამისად და მოპოვებული ინფორმაციის სინთეზირება სასარგებლო ცოდნისა თუ კავშირებისთვის. მედიაწიგნიერება კრიტიკულ აზროვნებასთან, რეფლექსიასა და ეთნიკურ საქციელთან ერთად შეადგენს იმ ძირითად შინაარს, რასაც დღევანდელი სამყაროს განათლებული ადამიანი შეიძლება ეწოდოს.

V პარაგრაფში ინფორმაციისადმი უფროსკლასელთა დამოკიდებულება განხილულია, მედიაწიგნიერების კომპეტენციასთან დაკავშირებით საინტერესო ნაშრომები და კვლევები, რომლებიც გვთავაზობს საჭირო და სასარგებლო რეკომენდაციებსა და რჩევებს.

VI პარაგრაფში „ციფრული ინსტრუმენტები მედიაწიგნიერებისათვის“ გაანალიზებულია, მედიაწიგნიერების კომპეტენციის დასაუფლებლად საჭირო ინსტრუმენტების - მეთოდების ცოდნა, რომელიც აამაღლებს სასწავლო პროცესში მედიაწიგნიერების კომპეტენციის გამოყენების ხარისხს.

VII პარაგრაფში „მედიის სასწავლო პროცესში გამოყენების ეფექტური საშუალებები“ გაანხილულია მედიაწიგნიერების პერსპექტივის გაძლიერება, რომელსაც ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიები, რომელთა სასწავლო პროცესში ეფექტიანად გამოყენებისათვის საჭიროა ინტერაქტიული მეთოდების ფლობა, პრობლემის მიხედვით ინტერნეტმისამართების კატალოგის შედგენა, მოსწავლეებში ინტერესისა და მოტივაციის ამაღლება.

თავი I

მედიაწიგნიერება როგორც გამჭოლი კომპეტენცია

§ 1. მედიაწიგნიერების რაობა და მისი კავშირი სხვა კომპეტენციებთან და სწავლის შედეგებთან.

მედიაწიგნიერება ეროვნული სასწავლო გეგმის (2018-2024) მიხედვით განმარტებულია მედიაწიგნიერების კომპეტენციის რაობა როგორც თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების აუცილებელი თანამდევი. მისი დაუფლების შესაძლებლობა განიხილება ორ მხრივ: ა) როგორც გეგმა, აღქმა, შექმნა. ბ) როგორც ორიენტირება სწორი არჩევანის გაკეთება. უკეთ წარმოჩენისთვის წარმოვადგენთ მედიაწიგნიერების, როგორც გამჭოლი კომპეტენციის სრულ განმარტებას ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით: საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგად თანამედროვე სამყაროში ტრადიციულ ტექსტებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მულტიმედიურმა ტექსტებმა - ტექსტებმა, რომლების ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს. გარდა ამისა, თანამედროვე მსოფლიოში მედია ყველაზე მძლავრი კულტურული იარაღია, რომელმაც ადამიანის ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ამიტომ აუცილებელია, მოსწავლემ შეძლოს, ერთის მხრივ, ამ ახალი სტილისა და მრავალგვარი ფორმის მულტიმედია ტექსტების აღქმა-გაზიარება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა. მეორეს მხრივ - მედია სამყაროში ორიენტირება, სწორი არჩევანის გაკეთება (ინფორმაციის გაფილტრვა) და მიღებული ინფორმაციის

კრიტიკულად შეფასება. ამ თვალსაზრისით, მედიაწინიერება ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

მედიაწიგბიერების რაობის განმარტებასთან მიმართებაში მასწავლებლები ხედავენ შესაძლებლობას იმისა, რომ მედიაწიგნიერების კომპეტენცია დაკავშირებულია სხვა გამჭოლ კომპეტენციებთან. ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ცამმეტ გამჭოლ კომპეტენციას. წარმოვადგენთ სქემას.



მოსწავლე აანალიზებს და აფასებს მედიაპროდუქტს, ადარებს ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ან შეისწავლის სხვადასხვა ეპოქაში გავრცელებულ ინფორმაციებს და გაიაზრებს ეპოქის გავლენას მედიაგზავნილზე. ამასთან ერთად მედიაწიგნიერება გულისხმობს, რომ სწავლის დროს მოსწავლეები თავად ქმნიან მედიაპროდუქტს და უზიარებენ სხვადასხვა აუდიტორიას. (მასწავლებელი თ. მოსიაშვილის მოსახრება)

სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიებისა და მუშაობის ფორმების გამოყენება მედიაწიგნიერებით განათლებას მჭიდროდ აკავშირებს სხვა გამჭოლ კომპეტენციებთან. მედიაწიგნიერებით განათლება გულისხმობს, რომ:

- მოსწავლეები ამუშავებენ მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, გამოთქვამენ იდეებსა და მოსაზრებებს, იღებენ გადაწყვეტილებებს და ფიქრობენ პრობლემების მოგვარების გზებზე **(წიგნიერება)**;
- მოსწავლეები ამუშავებენ ელექტრონულ ტექსტებს, შეუძლიათ ტექსტური შეტყობინებების პროგრამების და საზოგადოდ, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. დღეს ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ციფრულ ფორმატშია, პროფესიული და სოციალური მედია ინფორმაციას ამ ფორმატში უზიარებს აუდიტორიას, მოქალაქეებიც ამავე ფორმატში აზიარებენ მას **(ციფრული წიგნიერება (იგივეა, რაც კომპიუტერული წიგნიერება))**;
- ხშირად ინფორმაცია გამოსახულია ციფრების, ცხრილებისა და გრაფიკების სახით. მოსწავლეები გაიაზრებენ ამ მონაცემებს, ადგენენ რიცხვებს შორის მიმართებებს და რაოდენობივად ადარებენ მათ **(რაოდენობრივი წიგნიერება)**;
- გარემოში მომდინარე პროცესების მიმართ პირადი პასუხისმგებლობის გაცნობიერება გულისხმობს ეკოლოგიაური საკითხების შესწავლას და სხვადასხვ პერპექტივაში მათ განხილვას. ეკოლოგიურ საკითხებს მედია ინტენსიურად აშუქებს, შესაბამისად, მედიარესურსები სწავლების მნიშვნელოვანი წყაროა **(ეკოლოგიური წიგნიერება)**;
- დღევანდელი მსოფლიო წარმოუდგენელია კულტურული მრავალფეროვნების გარეშე. ევროკავშირი სხვადასხვა ენის, კულტურისა და ეთნიკური წარმომავლობის მქონე 700 მლნ ადამიანის სამშობლოა. დღეს ევროკავშირში 40 ოფიციალური ენაა და ევროკავშირის მოქალაქეები დაახლოებით 200 ენაზე საუბრობენ (Elsner 2011: 12) არც საქართველოა გამონაკლისი. თანამედროვე ტექნოლოგიები მასწავლებლებს მხოლოდ ლინგვისტური მრავაფეროვნებისა და მრავალენობრივი კომპეტენციების განვითრებაში კი

არ ეხმარება, არამედ ზრდის ლინგვისტური და კულტურული ტრადიციების შესახებ ცოდნას, ტოლერანტობასა და კულტურათა შორის დიალოგს (UNESCO 2011) **(მრავალენობრივი (პლურილინგვური) კომპეტენცია)**;

- ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში მედიარესურსების გამოყენება ხშირად გულისხმობს რუკების, დიაგრამების, სქემების, ნახატების, მელოდიების საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრებასა და ინტერპრეტირებას **(სემიოტიკური კომპეტენცია)**;
- სასწავლო პროცესში მედიაწიგნიერების დანერგვისას მნიშვნელოვანია მოსწავლეთა როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობა. მოსწავლემ უნდა შეძლოს დამოუკიდებლად შეარჩიოს მედიაპროდუქტის ანალიზისა და ახალი პროდუქტის შექმნისთვის საჭირო სტრატეგიები. **(სწავლის სწავლა)**;
- სამოქალაქო აქტიურობის მედიაწიგნიერება ამ მხრივ მნიშვნელოვან შესაძლებლობებს სთავაზობს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, მონაწილეობისა და სამოქალაქო აქტივიზმის ზრდისკენ. მედიაწიგნიერება საშუალებას აძლევს ეროვნულ საფუძველზე აჟღერდეს მოზარდის ხმა და სასიკეთო ცვლილებისკენ გადაიდგას ნაბიჯები. ხელს უწყობს პიროვნული პოტენციალის განახლება განვითარებას, პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივებას და გადაწყვეტილების მიღებას. **(სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია)**;
- **ეთიკა** არის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს, გაითავისოს და დაიცვას ზნეობის, მორალის და ქცევის საყოველთაო წესები.
- **მეწარმეობა** არის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიური იდეების რეალიზებისთვის ხელსაყრელი პირობების დანახვას და მათზე დროულად რეაგილებას. მეწარმეობა არ არის მენეჯერის იდენტური ცნება.
- **ჯანსაღი ცხოვრების წესი** არის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობის მნიშვნელობის გაცნობიერებას; შესაძლებელს ხდის ზრუნვას საკუთარ და სხვათა ჯანმრთელობაზე; იძლევა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხების გააზრების საშუალებას ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში.
- **შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება** არის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს, დაინახოს საგანი, მოვლენა ახალი კუთხით; არ შემოიფარგლოს ფაქტების კონსტატაციით, ეძებოს

მოვლენის მიზეზები და შესაძლო პასუხებით განსაზღვროს. ამგვარი აზროვნების მქონე ადმიანს შეუძლია: ორიენტირება ახალი ინფორმაციის ნაკადში; არსებითის, საინტერესოს, თვითმყოფადის გამორჩევა, სიახლის ძიება და შექმნა. აქვს განვითარებული წარმოსახვისა და განსხვავებული/მრავალფეროვანი ინტერპრეტირების უნარი.

მედიაწიგნიერების კომპეტენცია დაკავშირებულია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს (2019) მიერ განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებთან საბაზო და საშუალო საფეხურის დონეზე.

ჩავატარეთ კვლევა, რომლის მიზანი იყო დაგვედგინა რამდენად იცნობენ და აკავშირებენ მასწავლებლები მედიაწიგნიერების კომპეტენციას 1) სხვა გამჭოლ კომპეტენციებთან და 2) განზოგადებულ სწავლის შედეგებთან

კვლევაში მონაწილეობდა სხვადასხვა საგნის 16 მასაწავლებელი.

კვლევის მეთოდი - კომპიუტერული გამოკითხვა (კონფიდენციალურობა დაცულია). კვლევის შედეგების მიხედვით:

1) მასწავლებლები სხვა გამჭოლ კომპეტენციებთან მედიაწიგნიერების კომპეტენციას აკავშირებს:



2) მასწავლებლები მედიაწიგნიერების კომპეტენციას განზოგადებულ სწავლის შედეგებთან აკავშირებს:



მეოერე მონაცემის შედეგთან დაკავშირებით ჩავატარე ონლაინ შეხვედრა კვლევაში მონაწილე მასწავლებლებთან, სადაც განვიხილეთ კვლევის შედეგები. გაირკვა, რომ მედიაწიგნიერების კომპეტენციის განზოგადებულ სწავლის შედეგებთან დაკავშირების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია იმით, რომ მასწავლებლები არ იცნობენ განზოგადებულ სწავლის შედეგებს.

გაჩნდა პრობლემა იმასთან დაკავშირებით, რომ თუ გნაზოგადებულ სწავლის შედეგის მიღწევის დონე განაპირობებს საბაზო და საშუალო საფეხურის დაძლევის მაჩვენებელს, მაშინ მასწავლებლები უნდა იცნობდნენ შესაბამის მახასიათებლებს.

გამოთქმული სურვილის შესაბამისად ჩავატარეთ მომდევნო შეხვედრა, სადაც განვიხილეთ საბაზო და საშუალო საფეხურის განზოგადებული სწავლის შედეგები. გამოითქვა მოსაზრება, რომ აუცილებელია ყველა მასწავლებელი იცნობდეს განზოგადებულ სწავლის შედეგებს, რომელიც არა მხოლოდ მედიაწიგნიერების კომპეტენციას უკავშირდება, არამედ სხვა კომპეტენციებსაც და ეროვნული სასწავლო გეგმის ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.

ვფიქრობთ, რომ ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს საბაზო და საშუალო საფეხურის განზოგადებულ სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობის საკითხები ცალკე კვლევის საგანია. ამასთან ჩვენი ნაშრომის პრაქტიკული გამოყენების

თვალთახედვით საჭიროდ მივიჩნიე პარაგრაფში ჩამერთო კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს განზოგადებული სწავლის შედეგები სრულად.

კვალიფიკაციის მახასიათებელის I დონე საბაზო საფეხურისათვის:

ცოდნა და გაცნობიერება - საბაზო ზოგადი ცოდნა, რაც ქმნის საფუძველს სოციალური განვითარებისთვის, შემდგომი სწავლისა და ყოველდღიურ ცხოვრებაში მარტივი დავალების შესრულებისათვის. საბაზო პრინციპებისა და ფაქტების იდენტიფიცირება და ინტერპრეტირება.

უნარი – ნაცნობ გარემოში მარტივი და ერთგვაროვანი დავალებების შესასრულებლად საბაზო უნარების გამოყენება. ამ პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა და სტანდარტული წესებით გადაჭრის უნარი. საკუთარი საქმიანობის შედეგების შესახებ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - სტრუქტურირებულ, უცვლელ გარემოში უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ სწავლა ან/და მარტივი დავალების შესრულება.

კვალიფიკაციის მახასიათებლის IV დონე საშუალო საფეხურისათვის:

ცოდნა და გაცნობიერება - სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ფართო ცოდნა და მისი გააზრება.

უნარი - სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსთვის დამახასიათებელი კოგნიტური და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება. არაერთგვაროვანი პრობლემების იდენტიფიცირება და მისი გადაჭრისათვის ინფორმაციის მოძიება, შერჩევა, კრიტიკულად გააზრება, სათანადო მიდგომის იდენტიფიცირება და შესაბამისობის შეფასება. სწავლის ან/და საქმიანობის შესახებ კომუნიკაცია სტრუქტურირებული და თანმიმდევრული არგუმენტების მეშვეობით, კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - პროგნოზირებად, მაგრამ ცვალებად გარემოში საკუთარი საქმიანობის ან სწავლის მართვა სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით. ერთგვაროვანი სამუშაო პროცესის ზედამხედველობა; სამუშაო და სასწავლო აქტივობების

შეფასებასა და გაუმჯობესებაზე გარკვეული პასუხისმგებლობის აღება. დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით საკუთარი პროფესიული განვითარების შეფასება და სწავლა.

ამრიგად, მედიაწიგნიერების კომპეტენციის რაობის განსაზღვრა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გულისხმობს მისი დაუფლების ორ მხარეს: ერთი მხრივ მრავალგვარი მულტიმედია ტექსტების აღქმა - გააზრებას, ინტერპრეტაციას, გამოყენებას, შექმნას, მეორე მხრივ მედიასამყაროში ორიენტირებას, სწორი არჩევანის გაკეთებას და მოპოვებული ინფორმაციის კრიტიკულ შეფასებას.

მედიაწიგნიერების კომპეტენცია დაკავშირებულია ეროვნული სასწავლი გეგმით გათვალისწინებულ სხვა გამჭოლ კომპეტენციებთან და ხელს უწყობს მათი გამოყენების ხარისხის ამაღლებას.

მედიაწიგნიერების კომპეტენცია დაკავშირებულია კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს განზოგადებულ სწავლის შედეგებთან. ამასთან ამ მიმართებით გამოსადეგი რეკომენდაციები და რჩევები სათანადოდ არ არის დამუშავებული და მიწოდებული მეთოდურ სახელმძღვანელოებში.

§ 2. მულტიმედია ტექსტები, როგორც საგანმანათლებლო პოტენციალი

მედიაწიგნიერების გნმარტებაში ვკითხულობთ, რომ საგანმანათლებლო სივრცეში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა მულტიმედია ტექსტებმა.

მასწავლებლის საქმიანობა წარმატებული რომ იყოს, საჭიროდ მივიჩნიეთ განვიხილოთ მულტიმედიის საგანმანათლებლო პოტენციალის პრობლემა. წყაროების კვლევამ დაგვნახა, რომ ამ მიმართები საინტერესო ნაშრომია გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან, რადგან ძირითადად ამ პერიოდიდან იწყება ახალი ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელება.

მულტიმედია წარმოადგენს მრავალკომპონენტიან სივრცეს (გარემოს), რომელიც იძლევა ტექსტის, გრაფიკის, ვიდეოსა და მულტიპლიკაციის დიალოგის რეჟიმში გამოყენების შესაძლებლობას და ამგვარად აფართოებს კომპიუტერის გამოყენების შესაძლებლობებს სასწავლო პროცესში. გამოსახულებითი კომპონენტი და კრიტიკული აზროვნება, ამ შემთხვევაში, ეხმარება მოსწავლეს სრულყოფილად აღიქვას წარმოდგენილი მასალა. ჩნდება შესაძლებლობა თეორიული და დემონსტრაციული მასალების ერთობლივად გამოყენებისა (Захарова 2003: 186). 60-იანი წლებიდან მოყოლებული, აშშ-ის, კანადის, დასავლეთ ევროპის, ავსტრალიის, იაპონიის, რუსეთისა და რიგი ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებში და სასწავლებლებში შეიქმნა სპეციალური მედიასაგანმანათლებლო პროგრამები.

სხვადასხვა ქვეყანაში მიღებულია საგანმანათლებლო ინფორმაციული ტექნოლოგიების შემდეგი კლასიფიკაცია;

- კომპიუტერული პროგრამების სწავლება;
- სწავლება კომპიუტერის საშუალებით;
- შეფასება კომპიუტერის საშუალებით;
- კომპიუტერული კომუნიკაციების გამოყენება სასწავლო პროცესში.

მოსწავლეების ყურადღების თავისებურებების კვლევამ გაკვეთილებზე, სადაც იყო გამოყენებული მულტიმედიური საშუალებები - გამოავლინა მოსწავლეთა არა მხოლოდ გარეგანი აქტიურობა, არამედ შინაგანიც, რომელიც ეფუძნება ცნობისმოყვარეობასა და ინტერსს (Егорова 1999: 170).

მკვლევარი ი. ნ. ეგოროვა არნიშნავს: მულტიმედიის გამოყენება ხელს უწყობს სწავლების ეფექტურობის ამაღლებას შემდეგი ფაქტორებით:

- ცოდნის შეთვისება ხდება არა გეგმიურად, არამედ მოსწავლის სურვილისამებრ;
- მულტიმედიური საშუალებები მოსწავლეებში იწვევს სიხარულს, რომელიც თავისმხრივ, მასტიმულირებელ როლს თამაშობს შესასწავლი საგნისადმი განწყობის ამაღლებაში;
- ჩნდება საკუთარი თავის შეფასების შესაძლებლობა სხვა მოსწავლეების აქტიურობის ფონზე;
- ყალიბდება საკუთარი თავისშეფასების ობიექტური კრიტერიუმები: იმარჯვებს ის, ვინც ბევრი იცის და ძალუძს საკუთარი ცოდნის გამოყენება;
- იქმნება თანამშრომლობისა და ჯანსაღი კონკურენციის ატმოსფერო;
- მოსწავლეები ცდილობენ დამოუკიდებლად გაართვან თავი სირთულეებს;
- იქმნება საგანთაშორისი კავშირების გამოყენების რეალური შესაძლებლობა (Егорова 1995: 101).

სასწავლო პროცესში მულტიმედიის ეფექტური გამოყენების პირობას წარმოადგენს შემდეგი კრიტერიუმები (Клемешова 1999):

- გაკვეთილების, მეცადინეობების დაგეგმვა მულტიმედიურ საშუალებათა დიდაქტიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით
- ოპტიმალური, პედაგოგიური - მულტიმედიური პროგრამების შერჩევა მეცადინეობების მიზნების, მოსწავლის მომზადების დონისა და შესასწავლი მასალის თავისებურებების გათვალისწინებით;
- მულტიმედიური ტექნოლოგიების გამოყენების პროცესში ზოგადსამეცნიერო და დიდაქტიკური წესების დაცვა.

ნიმუშისთვის, განვიხილოთ უცხო ენის (ინგლისური ენა) მაგალითზე სასწავლო პროცესში მედიარესურსების (ფოტოგრაფია, კინო, ტელევიზია, ინტერნეტი და ა.შ.) გამოყენების შესაძლებლობები და მეთოდები.

უცხო ენის სწავლების მიზანია მსენელებისათვის არა მხოლოდ იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მათ დაეხმარებათ გრამატიკული და ლექსიკური დავალებების შესრულებაში ან ტესტირების წარმატებით ჩაბარებაში, არამედ მეტყველების, სმენითი და წერითი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

სწავლის პროცესში ტრადიციულ საშუალებას წარმოადგენს სახელმძღვანელო, აუდიოჩანაწერები, რასაც ბოლო წლებში ემატება მედია რესურსები. სწავლების მეთოდების შერჩევისა და გამოყენებისათვის საყრდენ სფუძველს წარმოადგენს პედაგოგიური, მეთოდური, წყაროების რეკომენდაციები, რჩევები და მოწინავე პედაგოგიური და საცდელი მუშაობით შემოწმებული გამოცდილება.

თანამედროვე ელექტრონულ მედიასაშუალებებს შორის, სასკოლო ასაკის ბავშვებში ბოლო წლებში ყველაზე მეტად გავრცელებულია ინტერნეტი, რომლის გავრცელების არეალი და მომხმარებელთა რაოდენობა საქართველოში აქტიურად იზრდება.

ცნობილია, რომ ბავშვები და მოზარდები ინტერნეტ რესურსებს იყენებენ სხვადასხვა მიზნებისათვის. უპირველეს ყოვლისა, ინტერნეტრესურსებს გამოიყენებენ კომუნიკაციის საშუალებად, რადგან ამ ასაკში აქვთ თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილება. მეორე მხრივ, ინტერნეტი იძლევა შესაძლებლობას, რომ მომხმარებელმა (ამ შემთხვევაში - ბავშვებმა) მიიღონ ინფორმაცია, რომელიც მათ აინტერესებთ. მომხმარებლებს საკმაოდ მაღალი ნდობა აქვთ ინტერნეტსივრცეში არსებული ინფორმაციისადმი, რადგანაც ერთ კონკრეტულ საკითხზე ინტერნეტის გამოყენებით უდიდესი რაოდენობის მონაცემები იძებნება. თუ როგორ აღიქვამენ ბავშვები ინტერნეტში მოძიებულ ინფორმაციას, დამოკიდებულია იმაზე რამდენად არიან გათვითცნობიერებულნი ამგავარი ინფორმაციის მიღების წესებზე და ფლობენ თუ არა შესაბამის უნარ-ჩვევებს (Якушина 1999: 65-69).

ინტერნეტსივრცეში არსებობს სპეციალური საბავშვო გვერდი, რომლებიც მოიცავენ სხვადასხვა სახის სასკოლო საგნებს, ელექტრონულ ლექსიკონებს, ენციკლობედიებს და სხვა რესურსებს, რომლებიც ორიენტირებულია სწორედ სასკოლო აუდიტორიაზე (Федоров 2001). თუმცა ეს რესურსები იშვიათად გამოიყენება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ელექტრონული მედიასაშუალებები, უმეტესწილად, იგნორირებულია პედაგოგების, მშობლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციების მიერ. ასე აფასებდნენ მაშინდელ (2001) წლის ვითარებას მკვლევარები. ეს მოსაზრება გავაცანით 2020 წელს პედაგოგებს, ცხადია შეხედულება სავსებით განსხვავებულია:

მასწავლებელთა 97% ელექტრონულ მედიასაშუალებებს იყენებენ სწავლებას სწავლის პროცესში. განსაკუთრებით გაიზარდა გამოყენების სფერო დისტანციური სწავლების პერიოდში.

სპეციალიზებული საგანმანათლებლო ვებგვერდის შესწავლამ ცხადყო, რომ მათი შემქმნელები არ ითვალისწინებენ ბავშვების, უპირველესად, უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეების ფსიქოლოგიურ თავისებურებებს. ამ ასაკის ბავშვებისთვის თითქმის არ არსებობს არც ერთი საგანმანათლებლო ვებგვერდი, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამ ასაკის ბავშვბევს ამოძრავებს განსაკუთრებული სურვილი - მიიღონ ინფორმაცია ინტერნეტსაშუალებებით (Канаво 2004: 186).

ბავშვებს სჭირდებათ კომპლექსური, პროფესიონალური მხარდაჭერა და სწავლება უპირველეს ყოვლისა პედაგოგების მხრიდან, რათა დაეუფლონ ინტერნეტრესურსების უფრო შემოქმედებით, მიზნობრივად, სარგებლიანად გამოყენების უნარ-ჩვევებს, რაც ხელს შეუწყობს მათ ჩართულობას ონლაინ კონფერენციებში, დისტანციურ საგანმანათლებლო პროექტებში, ასწავლის საჭირო ინფორმაციის ადვილად მოძიებას, მიღებული ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს, საკუთარი ვებგვერდის შექმნას და ა.შ. მნიშვნელოვანია, ბავშვებს გავაგებინოთ კომპიუტერისა და ინტერნეტის სწორად, რაციონალურად (ყოველგვარი უარყოფითი ზემოქმედების გარეშე) გამოყენება (Мантуленко 2006: 32).

ამასთან, ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს გააჩნიათ უდიდესი დიაპაზონი სასწავლო პროცესისა და სრულიად საგანმანათლებლო სისტემის სრულყოფისათვის. ერთ-ერთ დიდაქტიკურ საშუალებად, რომელსაც ახასიათებს მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო პოტენციალი, მიიჩნევა მულტიმედია.

მულტიმედიის საშუალებით მასწავლებლები მოსწავლეებს სხვადასხვა დავალებებს აძლევენ, შემდეგ ერთად არჩევენ ამა თუ იმ გადაცემას, ქმნიან საკუთარ პროგრამებს, აანალიზებენ და კრიტიკულად აფასებენ რადიოტექსტებს. იგივე პროცესი მიმდინარეობს პრესის მიმოხილვისას. პრესა გვეხმარება ახალი ფაქტების მოძიებაში, ინფორმაციის პრეზენტაციაში. მოსწავლეები თავად ქმნიან გაზეთის ელექტრონულ ვერსიებს. მასწავლებელთა დაკვირვებით, ასეთი ტიპის სამუშაო ზრდის მოსწავლეთა კულტურულ დიაპაზონს. ასევე, სწავლების პროცესში მასწავლებლები ხშირად იყენებენ ფოტომასალას

(ცნობილი მწერლები, მხატვრები, თანამედროვე მუსიკოსები...), რაც ტრადიციულ გაკვეთილს ვიზუალურად ამდიდრებს. ასეთ ინფორმაციას მოსწავლეები უკეთ ითვისებენ და იმახსოვრებენ. კომიქსებისა და მულტფილმების გამოყენება შესაძლებელია დაბალ კლასებში. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ დაწერონ დიალოგები ან ისტორია კომიქსისთვის. ბავშვები ხალისით ასრულებენ ასეთ დავალებებს.

მედიაში გათვითცნობიერების აუცილებლობის რამდენიმე მთავარი მიზეზი: ინფორმაციული განათლება ახალგაზრდებში ხელს უწყობს კითხვების გაჩენას, შეფასებას, მულტიმედიური კულტურის არსის გაგებას და მის დაფასებას. იგი ახალგაზრდებს ასწავლის, გახდნენ მედიის აქტიური, ჩართული მომხმარებლები. ინფორმაციულ განათლებას მსოფლიო აუდიტორიებში შემოჰყავს, გვიჩენს უშუალო მონაწილეობის განცდას და უფრო თვალსაჩინოს ხდის ისეთ ტრადიციულ საგნებს, როგორებიცაა ისტორია, ენა, ჯანმრთელობის დაცვა, სამოქალაქო განათლება და ხელოვნება. მედია ხდება ხიდი საგნების ინტეგრირებისა და ინტერდისციპლინური საგნების შესწავლისთვის.

ინფორმაციული განათლება განასახიერებს და განავითარებს თანამედროვე პედაგოგიკას, რომელიც ხაზს უსვამს მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას, მრავალმხრივ უნარებს, ანალიზსა და მენეჯმენტს და არა მხოლოდ ინფორმაციის უბრალო დაგროვებას.

ინფორმაციული განათლება ეფუძნება ჯანსაღ პედაგოგიურ მიდგომას, რომელიც განსაზღვრავს სწავლების პროცესის იმ სივრციდან დაწყებას, სადაც ახალგაზრდები ისედაც იმყოფებიან. მედია - მუსიკა, კომიქსები, ტელევიზია, ვიდეოთამაშები, ინტერნეტი და რეკლამებიც კი - წარმოადგენს ცხოვრების იმ ნაწილს, რომელიც ახალგაზრდებს მოსწონთ. მედია ქმნის მოზარდებისთვის თანაზიარ სივრცეს და ამიტომაც შეთვისების კატალიზატორად გვევლინება.

ინფორმაციული განათლება უბიძგებს ახალგაზრდებს მულტიმედიური საშუალებები შემოქმედებითად გამოიყენონ. ეს არის სტრატეგია, რომელიც იყენებს „გავიგოთ კეთების პროცესში“ მიდგომას და ამზადებს ახალგაზრდა თაობას, როგორც

სამომავლო სამუშაო ძალას, რომელსაც კომუნიკაციის კომპლექსური საშუალებების გამოყენება მოეთხოვება.

აღნიშნულ საქმიანობაში დიდია მასწავლებლის როლი, რათა მულტიმედიასთან ურთიერთობა ეფუძნებოდეს ეროვნული ტრადიციბის დაცვას, მამულიშვილობას, საკუთარი ქვეყნის სიყვარულს და მისი გაძლიერების პერსპექტივას.

ამრიგად, მედიაწიგნიერების კომპეტენციის დაუფლებისათვის გაწეული საქმიანობის სასურველი შედეგის მიღწევის ერთ-ერთი წინაპირობაა მასწავლებლის მიერ მულტიმედიის საგანმანათლებლო პოტენციალის ცოდნა და გაცნობიერება.

მულტიმედია წარმოადგენს მრავალკომპონენტიან სივრცეს, რომელიც იძლევა საშუალებას ტექსტის, გრაფიკის, ვიდეოს, მულტიპლიკაციის გამოყენების შესაძლებლობას და აფართოებს სასწავლო პროცესში კომპიუტერის გამოყენების შესაძლბლობას, ხელს უწყობს სწავლების ეფექტურობას.

მულტიმედიური საშუალებები მოსწავლეებში იწვევს სიხარულს, რომელიც თავის მხრივ მასტიმულირებელ როლს თამაშობს შესასწავლი საკითხებისადმი, ინტერესისა და განწყობის ამაღლებაში.

სწავლის პროცესში მულტიმედიის ეფექტური გამოყენების პირობას წარმოადგენს გაკვეთილების დაგეგმვა მულტიმედიური საშუალების დიდაქტიკური შესაძლებლობების გათვალისწონებით. მულტიმედია ტექსტების შერჩევასა და გამოყენებაში მასწავლებელს ეკირსება პასუხისმგებლობა, რათა ტესქტები იყოს შემეცნებითი, ზნეობრივი, ხელს უწყობდეს საკუთარი ქვეყნის ტერიტორიების დაცვას, გამდიდრებას და წინსვლას სიკეთისკენ.

§ 3. მედიარესურსების გამოყენების გამოცდილება

მედიარესურსების გამოყენების გამოცდილება საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია. აღნიშნულის თქმის საშუალებას მაძლევს მასწავლებლებთან გასაუბრება, რომელიც ჩავატარე გასულ 2020 წლის დეკემბერში. ონლაინ სწავლების პირობებში ვაკვირდებოდი კიდეც სასწავლო პროცესს. მაგრამ მისი შეფასების, გაზიარების საშუალება არ მქონდა. საკლასო ოთახებში სწავლის გაგრძელების პირობებში სკოლაში ვიზიტი დაშვებული არიყო.

აქედან გამომდინარე, მედიარესურსების გამოყენების გამოცდილების გასაცნობად გამოვიყენე მასწავლებელთა მიერ აღწერილი და გამოცდილება, რომლებიც გამოქვეყნებულია ნაშრომებში, სტატიებში, ბლოგებში. მრავალთაგან შევარჩიე განათლების დოქტორის რუსუდან ქავთარაძის გამოცდილება, რომელიც აღწერილი აქვს ნაშრომში მედიაპედაგოგიკა რეალობა და პერსპექტივები საქართველოში. გთავაზობთ ამ გამოცდილების აღწერას. აღვნიშნავ, რომ აღწერილი გამოცდილება გავაზიარე და გამოვიყენე პედაგოგიური პრაქტიკის პერიოდში, შევიტანე მოდიფიცირება მასწავლებლის საჭიროებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

მედიარესურსების გამოყენებით ეფექტური შედეგის მისაღწევად ჩამოვაყალიბე სწავლება/სწავლის მეთოდების შერჩევის პრინციპები:

- სასწავლო მიზანთან შესაბამისობა;
- არსებული მედიარესურსების კატალოგის შედგენა;
- რიდერით სარგებლობა;
- აქტივობების, მიღწეული შედეგების შეფასების შესაძლებლობა.

კვლევის პროცესში, ინგლისური ენის სწავლებისას, მედიარესურსების გამოყენებით ჩავატარეთ საცდელი გაკვეთილები. წარმოვადგენთ ნიმუშებს. საცდელი გაკვეთილი ჩატარდა ქ.ბათუმში. მეცადინეობა ჩატარდა ღია კარის წესით.

დაესწრო ყველა მსურველი: ინგლისური ენის მასწავლებლები, მშობლები, ადმინისტრაცია. მეცადინეობაში მონაწილეთა რაოდენობა - 18.

მსმენელთა ასაკი: 15 – 16 წელი.

გაკვეთილის მიზანი: უცხოური ენის სწავლება/ სწავლის მიმართულება - „მეტყველება“.

საცდელი გაკვეთილები ჩატარდა ხუთ ნაწილად.

მეცადინეობების პროცესში გამოყენებულ იქნა ისეთი მედიარესურსები, როგორიცაა: ფოტოგრაფია, ტელევიზია, რეკლამა, კინო, ინტერნეტი.

პირველი მეცადინეობის თემა: ვინ ვარ მე? (Who am I ?)

მოცემული დავალების შესასრულებლად, მოსწავლეებს წინასწარ ეთხოვათ მოეტანათ ორი ფოტოსურათი (ერთი - თავის ბავშვობის, მეორე - რომელიმე მათთვის ნაცნობი ადამიანისა). პირველ შემთხვევაში, მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი ბავშვობისდროინდელი სურათები მოთავსდა მაგიდაზე და ერთმანეთში აირია, შემდეგ კი ეთხოვათ შეერჩიათ რომელიმე სურათი (არა საკუთარი). თითოელი ბავშვი ინგლისურ ენაზე აღწერდა სურათზე აღბეჭდილ ბავშვს, ხოლო ჯგუფი ცდილობდა გამოეცნო ბავშვის ვინაობა.

მეორე სურათის განხილვა მოხდა ჯგუფში. ამ მიზნით, შეიქმნა სამი ჯგუფი, თითოეული შედგებოდა 3-4 წევრისგან. ჯგუფის მიერ შერჩეული ერთი ფოტო გადაეცა სხვა ჯგუფს (მაგალითად: ჯგუფი A გადასცემს თავის სურათს ჯგუფ B-ს, ჯგუფი B - ჯგუფ C-ს, ჯგუფი C - ჯგუფ A-ს). თითოეული ჯგუფი ცდილობდა გამოეცნო სურათზე გამოსახული ადამიანის ვინაობა, როგორი ხასიათისაა, რა საქმიანობითაა დაკავებული, რა განწყობა ჰქონდა სურათის გადაღების მომენტში, ასახელებდნენ მისთვის დამახასიათებელ თვისებებს, ჰობის და ა.შ. მას შემდეგ, რაც თითოეული ჯგუფი წარმოადგენდა ინფორმაციას, ფოტოს ავტორები ყვებოდნენ თავიანთ ვერსიას.

მეორე მეცადინეობის შემთხვევაში, შესასწავლი ობიექტი იყო ფილმი. აღნიშნული მედიატექსტის მიზანს წარმოადგენდა ბავშვებში კინოფილმის მხატვრული, ტექნიკური და კომერციული ასპექტების ანალიზისთვის საჭირო უნარჩვევების გამომუშავება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებსა და სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

მეცადინეობის მედიარესურსად გამოვიყენეთ ფილმის საინფორმაციო ბროშურა, რომელიც მათ ადრე არ უნახავთ. საინფორმაციო ბროშურის დემონსტრირების შემდეგ იმართებოდა დისკურსია შემდეგი საკითხების ირგვლივ:

- რას ხედავთ საინფორმაციო ბროშურაზე (მოსწავლეებმა უნდა აღნიშნონ ყველა საგანი, რაც გამოსახულია ბროშურაზე, ყველაზე თვალშისაცემი გამოსახულებიდან დაწყებული, ყველაზე ნაკლებად შესამჩნევი გამოსახულების ჩათვლით);
- გამოსახულების გარდა, დატანილია თუ არა ბროშურაზე რაიმე ტექსტი?
- აღწერეთ ფერები და სინათლის ზემოქმედება, რომელი გამოსახულებაა ყველაზე მეტად მოქცეული განათების ქვეშ? არის თუ არა დანარჩენი გამოსახულებები ნორმალური და მკაფიოდ გამოხატული? რომელი ფერები დომინირებს ბროშურაზე?
- რა ჟანრისაა მოცემული ფილმი?
- რის შესახებაა ფილმი?
- რა კავშირი აქვთ ბროშურაზე გამოსახულ პერსონაჟებს?
- აღძრავს თუ არა მოცემული ბროშურა თქვენში ნახვის სურვილს?

განხილვის შემდეგ, მოსწავლეები დავყავით სამ ჯგუფად და ვთხოვეთ შეექმნათ თავიანთი ორიგინალური ფილმის ბროშურა, შემდეგ კი მოეხდინათ პრეზენტაცია. დავალების დასაწყისში, მოსწავლეები ოთხი წუთის განმავლობაში ისმენდნენ ფილმის მელოდიას, მაგრამ ვერ ხედავდნენ გამოსახულებას ეკრანზე. მელოდიის მოსმენის შემდეგ, მათ უნდა გამოეცნოთ, თუ რა ჟანრისაა და შინაარსის იყო მათთვის შეთავაზებული ფილმი. ამის შემდეგ, მოსწავლეებს მიეცათ საშუალება ენახათ ეკრანზე გამოსახულება, რომელსაც თან ახლდა მათ მიერ მოსმენილი მელოდია, რის შემდეგაც ვკითხეთ მოსწავლეებს, აეხსნათ, თუ რა ნახეს, ვინ შეიძლება იყოს მთავარი გმირი და რა შეიძლება მოხდეს ფილმის ფინალურ ნაწილში. დავალების შესრულების ბოლო ეტაპზე მოსწავლეებმა ნახეს ხუთწუთიანი კოლაჟი გამოსახულებისა, მუსიკალურ გაფორმებასთან ერთად. მეცადინეიბის დასრულების შემდეგ გაიმართა დისკურსია (ინგლისურ ენაზე).

მესამე მეცადინეობის თემა ეხებოდა ტელევიზიას. მოცემული დავალების შესრულების დროს, მოსწავლეები დავყავით ჯგუფებად და ვთხოვეთ ჯგუფებში ინგლისურ ენაზე განეხილათ თავიანთი საყვარელი სატელევიზიო გადაცემები. ამის შემდეგ, თითო წევრს თითოეული ჯგუფიდან, ვთხოვეთ დაფაზე ჩამოეწერათ და მოკლედ განემარტათ მათი ჯგუფისთვ ის ყველაზე პოპულარული სამი სატელევიზიო გადაცემა. სტანდარტულ პასუხთან ერთად: „მომწონს იმიტომ, რომ საინტერესოა“, ჯგუფებს ვთხოვეთ ყურადღება გაემახვილებინათ ისეთ მახასიათებლებზე, როგორიცაა ტრანსლირების დრო, პერსონაჟები, მთავარი გმირები, სპეცეფექტები და ა.შ. ამ მინიშნებების შემდეგ, ჯგუფის წევრების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები ძალიან საინტერესო და სიღრმისეული გამოვიდა.

ჯგუფების მიერ დავალებების შესრულების შემდეგ, განვიხილეთ საქართველოში, ქართულ ტელევიზიებში არსებული გადაცემები.

მეცადინეობის მეორე ნაწილში მოსწავლეები გავყავით ორ ჯგუფად და ვთხოვეთ წარმოედგინათ საკუთარი თავი სცენარისტებად და დაეწერათ ახალი სატელევიზიო გადაცემები (გადაცემების ჟანრს თავად ჯგუფები წყვეტდნენ). დავალების მიხედვით, ჯგუფებს უნდა მოეფიქრებინათ გადაცემის სათაური, მთავარი შემსრულებლები, დრო, ადგილი, დეკორაციები, კოსტიუმები, ტრანსლირების დრო, ტელეკომპანია, რომელშიც უჩვენებდნენ მოცემულ გადაცემას, შესაძლო აუდიტორიის ანალიზს და პირველი ეპიზოდის შინაარსს.

თითოეულმა ჯგუფმა პრეზენტაციის ფორმატში ინგლისურ ენაზე წარმოადგინა თავისი ნამუშევარი.

მეოთხე გაკვეთილის თემას წარმოადგენდა რეკლამა და მისი მახასიათებლები. გაკვეთილის შესავალ ეტაპზე მსმენელებს დაუსვით შეკითხვა მათი პირადი გამოცდილების შესახებ რეკლამის მიმართ, ატარებდა თუ არა ეს გამოცდილება ინტენსიურ ხასიათს და ძირითადად რა სახის რეკლამებს ხვდებოდნენ (ბეჭდური, სატელევიზიო, რადიორეკლამა, ბილბორდები და ა.შ.).

აუდიტორიისაგან მიღებული ინფორმაციის მოკლე ანალიზის შემდეგ აუდიტორია დავყავით პატარა ჯგუფებად და ვთხოვეთ შეემუშავებინათ რეკლამის განმართება. ჯგუფების მიერ შემუშავებული განმარტებები შევადარეთ ლექსიკონში მოცემულ განმარტებას.

ამის შემდეგ ჯგუფებს დავურიგეთ ჟურნალიდან ამოღებული რეკლამის ასლები და ვთხოვეთ მისი განხილვა. დავალება: ყურადღება მიაქციეთ, პირველ რიგში რა მოგხდათ თვალში, მოცემული რეკლამა გადმოცემული იყო ტექსტობრივად, თუ ვიზუალურად?. შემდეგ, ჯგუფებს ვთხოვეთ დაეთვალიერებინათ რეკლამის ასლი კიდევ ერთხელ, დეტალურად შეესწავლათ და პასუხი გაეცათ შემდეგ კითხვებზე:

- რა წარმოადგენდა სარეკლამო პროდუქციას?
- რეკლამაში მხოლოდ კონკრეტული სარეკლამო პროდუქცია იყო გადმოცემული, თუ სხვა საგნებთან ერთად?
- რა დამახასიათებელი თვისებები გააჩნია პროდუქციას რეკლამის მიხედვით?
- ვინ არის პოტენციური მყიდველი? რა ასაკის და სოციალური სტატუსის მქონე ქალი, მამაკაცი?

- ვინ წარმოადგენდა მოცემული რეკლამის მიზნობრივ აუდიტორიას?
- სავარაუდოდ, რომელ გაზეთში ან ჟურნალში იქნებოდა ის განთავსებული?

განხილვის შემდეგ, ჯგუფებს ვთხოვეთ მათ მიერ შერჩეული პროდუქციის შესახებ მოეფიქრებინათ რეკლამა. ჯგუფებმა მოახდინეს მათ მიერ მომზადებული პროდუქციის პრეზენტაცია.

მეხუთე გაკვეთილის თემას წარმოადგენდა ინტერნეტი. გაკვეთილის შესავალ ნაწილში მსმენელებს დაესვათ შემდეგი კითხვები:

- რამდენად ხშირად იყენებთ ინტერნეტს?
- გაქვთ თუ არა კომპიუტერი სახლში?
- ძირითადად, რა მიზნებისთვის იყენებთ ინტერნეტს?
- რა იცით ინტერნეტის შესახებ? ჩამოთვალეთ მაგალითები, რისი პოვნაა შესაძლებელი ინტერნეტში?
- რა უპირატესობით გამოირჩევა ინტერნეტი ისეთ წყაროებთან შედარებით, როგორიცაა ჟურნალები, გაზეთები?
- რა უარყოფითი მხარეები გააჩნია ინტერნეტს? (ინფორმაციის სანდოობა, სისწორე და ა.შ.).

აუდიტორია გავყავით სამ ჯგუფად, რომელთაც დავურიგეთ წინასწარ მომზადებული ბარათები, წარწერებით: მეცნიერი, სპორცმენი, წამყვანი, პოლიტიკოსი, მუსიკოსი. ბარათები ჯგუფებს გადავეცით იმგვარი პროცედურით, რომ ჯგუფებს არ ენახათ სხვა ჯგუფების ბარათი. ჯგუფებს ვთხოვეთ ეფიქრათ მათ ხელთ არსებული კატეგორიიდან რომელიმე ცნობილ ადამიანზე და ამის მიხედვით განეხორციელებინათ ინტერნეტძიება (საკლასო ოთახი აღჭურვილი იყო ინტერნეტთან მიერთებული კომპიუტერებით) ამ ადამიანის შესახებ. ძიების პროცესში უნდა გაეკეთებინათ მოპოვებული ინფორმაციის ჩანაწერები და მოძიებული ინფორმაცია გადაემოწმებინათ სხვა ვებგვერდებზე.

მას შემდეგ, რაც ჯგუფებმა დაასრულეს ძიების პროცესი, ვთხოვეთ დაწერათ მოკლე ინფორმაცია მათ მიერ შერჩეული ადამიანის შესახებ, პირველ პირში ავტობიოგრაფიის სახით - ავტოგრაფიის სახით, სახელისა და გვარის ხსენების გარეშე. დავალების შესრულების შემდეგ, ჯგუფებს ვთხოვეთ შემუშავებული ტექსტების გაცნობა სხვებისთვის, ვინაობის გამოცნობის მიზნით. პრეზენტაციების შემდეგ გაიმართა დისკურსია.

ამრიგად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო - აღმზრდელობით პროცესში მედიარსურსების გამოყენების შემდეგი საშუალებებია:

- ტრადიციული დავალებების სპეციალური ფორმის დამუშავების საშუალება;

- სწავლების დამხმარე საშუალება;
- კომუნიკაციის საშუალება (ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილი ელექტრონული წერილების, ან ვიდეოკონფერენციების სახით);
- სინამდვილის მოდელირების საშუალება.

მედიარესურსების გამოყენებით სწავლება/სწავლის ეფექტიანი შედეგების მისაღწევად სწავლება/სწავლის მეთოდებით შერჩევის პრინციპებია:

- სასწავლო მიზანთან შესაბამისობა;
- არსებული მედიარესურების კატალოგის შედგენა;
- რიდერით სარგებლობა;
- აქტივობების, მიღწეული შედეგების შეფასების შესაძლებლობა.

რეკომენდაციის სახით, წარმოვადგენთ სხვადასხვა ქვეყანაში აპრობირებულ საგანმანათლებლო ინფორმაციული ტექნოლოგიების შემდეგ კლასიფიკაციას:

- კომპიუტერული პროგრამების სწავლება;
- სწავლება კომპიუტერის საშუალებით;
- შეფასება კომპიუტერის საშუალებით;
- კომპიუტერული კომუნიკაციების გამოყენება სასწავლო პროცესში.

სასწავლო - აღმზრდელობით პროცესში გამოსადეგი მეთოდებიდან ყველაზე ხშირი საჭიროება აქვს ინფორმაციის მოძიების, დახარისხებისა და გამოყენების მეთოდს.

თავი II

კვლევები და ნაშრომები მედიაწიგნიერების კომპეტენციასთან მიმართებაში

§ 4. მედიაწიგნიერების კომპეტენცია - სანდო უნარი, რომელიც გვჭირდება

მედიაწიგნიერების კომპეტენციასთან დაკავშირებით კვლევების მრავალფეროვნებაა უცხოურ წყაროებში, გერმანია, საფრანგეთი, რუსეთი, ლიტვა, ესტონეთი და სხვა. ინტერნეტში განთავსებულია წყაროები, მათი გაცნობის საშუალება მომცა ინგლისური ენის ცოდნამ. თითქმის ყველა კვლევის შედეგი ცხადყოფს მედიაწიგნიერების კომპეტენციაზე დაუფლების აუცილებლობას. აღსანიშნავია, რომ ფართო ადგილს იჭერს მედიაწიგნიერების პრობლემები. კვლევებსა და ნაშრომებში მითითებულია, რომ სკოლებს მიეწოდება: მედიარესურსები კლასების, თემების მიხედვით, რეკომენდაციები სწავლება - სწავლის პროცესში მედიარესურსების გამოყენების შესახებ.

უპირველესად სასიამონოდ აღსანიშნავია, რომ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში გამოჩნდა კვლევები და ნაშრომები მედიაწიგნიერების შესახებ. საყურადღებოა ნატალია ინგოტოყვას სტატიები, რომელიც რამდენიმე წელია ქვეყნდება ჟურნალში „მასწავლებელი“ და განთავსებულია ინტერნეტ სივრცეში.

ნაშრომში ჩავრთეთ ნატალია ინგოროყვას კვლევებზე დაფუძნებული შეხედულებები მედიაწიგნიერების კომპეტენციის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ მედია ანუ ინფორმაციული წიგნიერება უნარების ნაკრებია, რომელიც ინდივიდისაგან მოითხოვს, გააცნობიეროს, როდის არის საჭირო ინფორმაცია და შეძლოს მისი ადგილის განსაზღვრა, შეფასება და ეფექტურად გამოყენება. ინფორმაციული წიგნიერების მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებებისა და მზარდი ინფორმაციული რესურსების თანამედროვე გარემოში. ამ გარემოს მუდმივი გართულების პირობებში ინდივიდი მრავაფეროვანი, უხვი ინფორმაციის არჩევანის წინაშეა ყველა კონტექსტში -

აკადემიური კვლევის, სამუშაოს შესრულების თუ პირადი ცხოვრების დროს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში, საჯარო რესურსების ცენტრის, სპეციფიკური ინსტერესების ორგანიზაციების, მედიისა და ინტერნეტის საშუალებით. ეს ინფორმაცია, როგორც წესი, ინდივიდამდე გაუფილტრავი სახით მიდის და ბადებს კითხვებს მისი ავთენტურობის, ვალიდურობისა და სანდოობის შესახებ. ამას გარდა, ინფორმაცია მრავალი ფორმით მიეწოდება ინდივიდს - მრავალფეროვანი მედიასაშუალებებით, მათ შორის, გრაფიკული, სმენითი, ტექსტური - რაც მისი შეფასებისა და გაგების ახალი გამოწვევის წინაშე აყენებს. ინფორმაციის საეჭვო ხარისხი და მზარდი რაოდენობა დიდ სირთულეს უჩენს საზოგადოებას. ინფორმაციის სიუხვე თავისთავად ვერ შეუწყობს ხელს უფრო ინფორმირებული მოქალაქეების ჩამოყალიბებას. საჭირო ხდება უნართა გარკვეული ნაკრები ინფორმაციის ეფექტურად გამოსაყენებლად. ინფორმაციული წიგნიერება უწყვეტი განათლების საფუძველს ქმნის. ის საერთოა ყველა დისციპლინისთვის. ის საშუალებას აძლევს შემსწავლელს, ოსტატურად ჩაწვდეს შინაარსს და გააფართოოს კვლევა, უფრო თვითმართულს ხდის და დამოუკიდებელი სწავლის პროცესის მეტი კონტროლის საშუალებას სთავაზობს.

ინფორმაციულად წიგნიერ ინდივიდს შეუძლია:

- განსაზღვროს საჭირო ინფორმაციის მოცულობა;
- შეაფასოს საჭირო ინფორმაცია ეფექტურად;
- შეაფასოს ინფორმაცია და მისი წყაროები კრიტიკულად;
- გააერთიანოს შერჩეული ინფორმაცია საკუთარი ცოდნის ბაზაში;
- ეფექტურად გამოიყენოს ინფორმაცია სპეციფიკური მიზნების მისაღწევად;
- გააცნობიეროს ინფორმაციის გამოყენების თანმდევი ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური საკითხები და ეთნიკურად და სამართლიანად გამოიყენოს ინფორმაცია.

ინფორმაციული წიგნიერების უნარების განვითარება კიდევ უფრო ამდიდრებს მოსწავლისთვის თვით მართული სწავლის შესაძლებლობებს, ცოდნის გასაღრმავებლად, გააზრებული კითხვების დასასმელად და კრიტიკული აზროვნების დასახვეწად ისინი ფართოდ იყენებენ მრავაფეროვან საინფორმაციო წყაროებს. ინფორმაციული წიგნიერების კომპეტენცია მოითხოვს იმის გააზრებას, რომ უნარების ეს ნაკრები უცხო არ არის კურიკულუმისათვის, ის გადაჯაჭვულია მასთან შინაარსობრივად, სტრუქტურულად და თანმიმდევრულად.

კურიკულუმში ამგვარი ინტეგრაცია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მეთოდების - პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული სწავლა, კვლევაზე დაფუძნებული სწავლა - შემდგომი გავლენისა და ზემოქმედების ზრდის მრავალ საშუალებას გვთავაზობს. აკადემიური პერსონალისა და სხვათა ხელმძღვანელობით პრობლემაზე დაფუძნებული სწავლისას მოსწავლე კურსის შინაარსს უფრო მეტად უღრმავდება, ვიდრე ეს მხოლოდ ლექციისა და სახელმძღვანელოს გამოყენებით არის მხოლოდ შესაძლებელი. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის შესაძლებლობები სრულად რომ გამოიყენოს, მოსწავლეს ხშირად აზროვნების ისეთი უნარები სჭირდება, რომლებიც განსხვავებული ადგილმდებარეობისა და ფორმატის საინფორმაციო წყაროების გამოყენებას მოითხოვს, ეს კი, თავის მხრივ, სწავლის პროცესზე პასუხისმგებლობას ზრდის.

მედია, მთელი თავისი მრავალფეროვნებით, აქტიურად მონაწილეობს თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში. რადიო, ტელევიზია, ჟურნალები და სხვა მედიასაშუალებები მძლავრ გავლენას ახდენს ჩვენ მიერ სამყაროს აღქმაზე - გავლენას, რომელიც ხშირად ჩვილი ასაკიდან იწყება.

იმისთვის, რომ მოზარდები მედიაში ჩაერთონ და მის კრიტიკულ მომხმარებლად იქცნენ, საჭიროა ინფორმაციული განათლების უნარებისა და ქცევების ჩამოყალიბება-განვითარება. ეს უნარები მოიცავს მედიისადმი წვდომის შესწავლას საბაზო დონეზე, მის კრიტიკულ ანალიზს, რომელიც რამდენიმე საკვანძო კონცეფციას ემყარება, მედიის შეფასებას, რომელიც ანალიზის შედეგადაა შესაძლებელი და, დასასრულ, მედიის წარმოებას/შექმნას თავად მომხმარებლის მიერ. მედიაწიგნიერების უნარების ათვისების ამ პროცესს მედიაწიგნიერება, ანუ ინფორმაციული განათლება დავარქვათ.

ინფორმაციული განათლება არის პროცესი, რომლის გავლის შემდეგ ადამიანი მედიაწიგნიერი ხდება, ანუ შეუძლია კრიტიკულად აღიქვას მედიის შინაარსი, ტექნიკა და ის გავლენა, რომელსაც მედიაპროდუქცია და მედიის გზავნილები ახდენს მასზე.

ინფორმაციული განათლება აღიარებს და ეფუძნება პოპულარული კულტურის დადებით, შემოქმედებით და სიამოვნების მომგვრელ განზომილებებს. იგი მოიცავს მედიის ტექტურ პროდუქციას და მედიის კრიტიკულ აღქმას, რაც მზარდ და რთულ მედია-ლანდშაფტში ირიენტაცია-მოგზაურობაში გვეხმარება.

დღევანდელი მედიის მრავალფეროვანი ლანდშაფტი შედგება არა მარტო ტრადიციული და ციფრული მედიისგან, არამედ ისეთი პოპულარული კულტურული სივრცეებისგანაც, როგორებიცაა სავაჭრო ცენტრები, მოდა და მისი ინდუსტრია,

სათამაშოები თუ თემატური პარკები. მედიის შესახებ განათლების აუდიტორიაში ინტეგრირებისთვის არ არის აუცილებელი, მასწავლებელი მედიაექსპერტი იყოს, რადგან ეს ყველაფერი კითხვების დასმას ეფუძნება.

მაგალითად, კითხვები ორიენტაციისთვის:

- ვინ არის მედიაპროდუქციის აუდიტორია და რატომ?
- ვისი პერსპექტივიდან ხდება ამბის თხრობა?
- რა გავლენას ახდენს ჩვენ მიერ დანახულზე, მოსმენილსა თუ წაკითხულზე რომელიმე სპეციფიკური ჟანრის ელემენტები თუ კოდები?
- როგორ შეიძლება აღიქვან განსხვავებულმა აუდიტორიებმა ერთი და იგივე მედიაპროდუქტი?
- ვინაიდან მედიის საკითხები კომპლექსურია და ხშირად წინააღმდეგობებითაა აღსავსე, განმანათლებლის როლია არა ცოდნის გადაცემა, არამედ შემეცნების პროცესის შემსუბუქება.

დღეს მთავარი გამოწვევებია სწორი ინფორმაციის პოვნა და შეფასება ვისიმე მოთხოვნილების შესაბამისად და მოპოვებული ინფორმაციის სინთეზირება სასარგებლო ცოდნისა თუ კავშირებისთვის. მედიაწიგნიერება კრიტიკულ აზროვნებასთან, რეფლექსიასა და ეთნიკურ საქციელთან ერთად შეადგენს იმ ძირითად შინაარს, რასაც დღევანდელი სამყაროს განათლებული ადამიანი შეიძლება ეწოდოს.

§ 5. ინფორმაციისადმი უფროსკლასელთა დამოკიდებულება

უცხოურ კვლევათაგან აღვნიშნავ ჯეიმს პოტერის კვლევას „მედიაწიგნიერება“. მკვლევარი მედიაწიგნიერებასთან დაკავშირებით მრავალ პრობლემას განიხილავს. აღვნიშნავთ რამდენიმეს.

მკვლევარი აღნიშნავს ახალი ამბებისა და საინფორმაციო გზავნილების შესაძლო უარყოფითი გავლენის ან გაურკვევლობით არასწორი შეხედულებების ჩამოყალიბების საფრთხეზე. აქედან გამომდინარე, გვთავაზობს ისეთი უნარების განვითარებაზე ზრუნვას, რომელიც თავიდან აგვაცილებდა ბევრ უსიამოვნებას.

როგორ დავიცვათ თავი მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ინფორმირებულობის ილუზიისაგან? მთავარია, ჩვენი მედიაწიგნიერება უფრო დახვეწილი ცოდნის სტრუქტურებითა და განვითარებული უნარებით გავამდიდროთ. ეს გვაიძულებს, გავაანალიზოთ ახალი ამბები და უფრო მაღალი სტანდარტი დავიცვათ, ვიდრე ამას წარსულში ვაკეთებდით.

ახლა, როდესაც უკვე მეტი ინფორმაცია გაქვთ ახალი ამბების კონსტრუქციის, პესპექტივის, ობიექტურობის მითისა და ბალანსის მნიშვნელობის შესახებ, თქვენ მედიაშინაარსთან დაკავშირებით უფრო ძლიერ ცოდნის სტრუქტურას ფლობთ. ამასთან, როდესაც თქვენ ახალ ამბებში წამოჭრილ ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხს დაუპირისპირდებით, ახალი ამბების უფრო ფართო აღქმა უნდა გქონდეთ. როდესაც ცოდნის ფართო სტრუქტურას გამოიენებთ, განვითარებულ უნარებთან ერთად, შეძლებთ, ბევრად მეტი დაინახოთ ახალი ამბებისა და ინფორმაციის შემცვლელ გზავნილებში. ახალი ამბების ყურებისას გახსოვდეთ: დაფიქრდით, რამდენად სასარგებლოა თქვენი ცოდნის სტრუქტურები. სცედეთ თქვენი ცოდნის სტრუქტურების დახვეწა ხუთი სტრატეგიის გამოყენებით: ა) ახალი ამბების პერსპექტივის ანალიზი; ბ) შინაარსის ძიება; გ) ინფორმაციის ალტერნატიული წყაროების განვითარება; დ) სკეპტიკურობა საზოგადოებრივი აზრის მიმართ; ე) იქონიეთ მეტი და არა ნაკლები შეხება ახალ ამბებთან.

ცოდნა და უნარები		
სფერო	უნარები	ცოდნა
კოგნიტური	ახალი ამბების ანალიზის უნარი ინფორმაციის ძირითადი საკითხების გნსაზღვრის მიზნით; ახალ ამბებში გაშუქებული ძირითადი საკითხების ძველ ცოდნასთან შედარებისა და შეპირისპირების უნარი; სიახლის აღმოჩენისა და შეფასების უნარი, საკითხების დაბალანსებული გაშუქების შეფასების უნარი.	მრავალი წყაროდან საკითხის შესახებ მირებული ცოდნა (მედია და რეალური სამყარო).
ემოციური	ახალ ამბებში წარმოდგენილი ადამიანების გრძნობების ანალიზის უნარი; ამბავში წარმოდგენილი სხვადასხვა ადამიანის ადგილას საკუთარი თავის წარმოდგენის უნარი; ახალ ამბეთან დაკავშირებული ადამიანების მიმართ თანაგანცდის უნარი.	გაიხსენეთ საკუთარი გამოცდილებიდან, როგორ იგრძნობდით თავს ამბავში მოთხრობილ სიტუაციაში.
ესთეტიკური	ამბავში გამოყენებული ოსტატობისა და ხელოვნების ელემენტების ანალიზის უნარი; სხვადასხვა ამბავში გამოყენებული ხელოვნების ხერხების დანახვის უნარი.	მართლწერის, გრაფიკის, ფოტოგრაფიისა და სხვ. ცოდნა. ცუდი და კარგი ამბების იმ ელემენტების ცოდნა, რომლებმაც გავლენა მოახდინეს შეფასებაზე.
მორალური	ამბავში მორალური ელემენტების ანალიზის უნარი; მოცემული ამბის სხვა ამბებთან შედარებისა და დაპირისპირების	ახალი ამბების კრიტიკა, მიკერძოების მნიშვნელობა, ობიექტურობა, ბალანსი და სამართლიანობა.

	უნარი; მოცემულ ამბავთან დაკავშირებით ჟურნალისტების ეთიკური პასუხიმგებლობის შეფასების უნარი.	მოცემულ საკითხზე სხვა ამბების ცოდნა. ამბებში ბალანსისა და სამართლიანობის დაცვის ხერხები. ჟურნალისტური ეთიკის კოდექსი.

ახალი ამბების პერსპექტივის ანალიზი

გახსოვდეთ, ახალი ამბები არის ახალი ამბების ინდუსტრიის მუშაკთა კონსტრუქცია. ჟურნალისტები ახალ ამბებს არჩევენ და გადაწყვეტილებებს იღებენ ახალი ამბების საკუთარი პერსპექტივის საფუზველზე. ამდენად, როდესაც ტელევიზორში ახალი ამბების გამოშვებას ვუყურებთ ან გაზეთს ვკითხულობთ, ვიგებთ ინფორმაციას როგორც ახალი ამბების იდუსტრიის, ასევე, ახალ ამბებში მოთხრობილი მოვლენების შესახებ. მთავარია, ვიცოდეთ, რა უნდა ვეძებოთ. თუ ამას გავითვალისწინებთ, ბევრს ვისწავლით ახალი ამბების ფასეულობების შესახებ და საკუთარ თავს იმ ცრურწმენისგან დავიცავთ, რომ ახალი ამბები სამყაროს სრულ, ზუსტ და დაბალანსებულ სურათს გვიჩვენებს. ჩვენი მიზანი უნდა იყოს კიდევ უფრო ზუსტი სურათის დანახვა. თუმცა, ამ მიზნის მისაღწევად ბევრი წყარო და აქტი უნდა მოვიძიოთ, რათა კრიტიკული ვიყოთ მოწოდებული ინფორმაციის მიმართ.

შინაარსის ძიება

ხშირად გვესმის ტერმინი ახალი ამბები და ინფორმაცია და ვკითხულობთ მას, როგორც ერთიანს და არა როგორც ორ განცალკევებულ ცნებას. მაგრამ მნიშვნელოვანია ახალი ამბები ინფორმაციისაგან განვასხვაოთ. ახალი ამბები არის ის, რაც „ახალია“ გარკვეული გაგებით. თუ ამბავი უკვე ვიცით, ეს არ არის ახალი ამბავი. ამგვარად, ახალი ამბავი უჩვეულო უნდა იყოს. მან უნდა გვაფიქრებინოს: ღმერთო, ეს არ ვიცოდი! რა უცნაურია?. მან უნდა გაგვართოს ან აგვაღელვოს. საპირისპიროდ, ინფორმაცია გვეუბნება ზუსტად იმას რაც ჩვენი სამყაროსთვის ფასეულია. ჩვენ ვფიქრობთ: ეს არის ის, რაც უნდა ვიცოდე; ეს არის ის, რაც გამომადგება.

აღნიშნულთან დაკავშირებით ჩავატარე კვლევა.

კვლევის მიზანი იყო: უფროსი ასაკის X-XI-XII კლასელთა ახალი ამბების ინფორმაციისადმი დამოკიდებულებების დადგენა.

კვლევის მეთოდი: ინტერვიუ, ონლაინ ინტერვიუ.

კვლევაში მონაწილეობდა 30 მოსწავლე. (10-X კლასელი, 10-XI კლასელი, 10-XII კლასელი)

ინტერვიუს შეკითხვებზე შედეგები მივიღე შემდეგი.

შეკითხვა I. ახალი ამბების ინფორმაციას



კვლევის შედეგის შემდეგ გასუბრებით გაირკვა, რომ ახალი ამბების ინფორმაციას თავს არიდებს უფროსკლასელთა უმრავლესობა. მიზეზად დაასახელეს: წაგვლეკა ინფორმაციამ, ინფორმაცია არაფერში არ გვჭირდება, იმდენჯერ კეთდება ანონსი, რომ გამაღიზიანებელიც კი არის.

საინტერესო იყო, რომ დროის უკმარისობა არავის არ დაუსახელებია, თუმცა XII კლასელებისგან ველოდით დროის პრობლემის დასახელებას.

შეკითხვა II. ახალი ამბების ინფორმაციაში გაშუქებული საკითხები



კვლევის შედეგის შემდეგ გასაუბრებამ ცხადყო, რომ ინფორმაციაში გაშუებული საკითხები მნიშვნელოვანი არ არის და ხშირად ჟურნალისტის სუბიექტურ ხედვას მოიცავს.

ახალი ამბების მოსმენის შემდეგ ვფიქრობთ რა ტყუილად დავკარგე დრო, როდის დამთავრდება, საათს ვუყურებ.

გადაიღალენ ცუდი ამბებით, სკანდალებით, ურთიერთლანძღვის მოსმენით. ნუთუ ამ ქვეყნად კარგი არაფერი ხდება?, აქცენტს ყოველთვის უარყოფითზე აკეთებენ, ახალი ამბების მოსმენის შემდეგ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ტვირთი ამკიდეს, მინდა გამოვრთო ტელევიზორი, მაგრამ ოჯახის წევრების მერიდება, თუმცა ისინიც ჩემნაირად ფიქრობენ.

სასიამოვნოდ დარჩა ჩემთვის მოსწავლეთა მიერ გამოთქმული სურვილი: კარგი იქნება, თუ ახალი ამბების გამავრცელებელი ორგანიზაციები გაითვალისწინებენ

საქართველოს სათოლიკოს პატრიაქრის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II რჩევას: ერთმანეთს მხოლოდ კარგი ამბები უთხარითო.

ახალი ამბების პრობლემა მედიაწიგნიერებასთან დაკავშირებით განიხილება როგორც ინფორმაციის შედგენა და გადაცემა სასწავლო პროცესში.

ჩატარებულმა კვლევამ საშუალება მომცა ინფორმაციის დახარისხებისა და საჭირო და სასარგებლო მასალის ამოკრეფის საკითხებზე გამემახვილებინა ყურადღება. მხედველობაში მაქვს საჭირო ინფორმაციის ცოდნად გადაქცევა.

ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს გაზეთების დისკურსს, ტექსტების წაკითხვას, ამ შემთხვევაში ახალი ამბების ან სხვა ინფორმაციას გამოვიყენებ ლექსიკის გასამდიდრებლად, კომუნიკაციური უნარების განვითარების, მეტყველების, ჟესტიკულაციის დახვეწისათვის. რადგან შეცდომებზე სწავლა ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია და როცა მოსწავლე ისმენს არასასიამოვნო ფაქტის შესახებ ინფორმაციას მჭექარე, ერთგავრად საზეიმო ხმით და ეს არ მოსწონს, ცხადია თვითონ აღარ დაუშვებს მსგავსს.

ბოლო პერიოდის ნაშრომიდან გამოვყოფდი განათლების დოქტორის ასოცირებული პროფესორის ხათუნა ხალვაშის წიგნს „ციფრული ინსტრუმენტები სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის“ (2020).

ამ მეთოდურმა წიგნმა დიდი მხარდაჭერა მოიპოვა, სასარგებლო გამოდგა, როგორც სტუდენტების, ასევე, მოქმედი მასწავლებლებისთვის.

წიგნში განხილულია თვალსაჩინოების პრინციპის გამოყენება ისტორიულ ჭრილში. ჩემთვის საინტერესო იყო, რომ ტექნიკური თვალსაჩინოებები გამოიყენებოდა გასულ საუკუნის 70-იანი წლებიდან, იმ პერიოდის ტექნიკური შესაძლებლობების შესაბამისად.

წიგნში განხილულია სწავლების ამაღლების გზები და ხერხები ციფრული ინსტრუმენტების ჩათვლით. დავასახელებ ზოგიერთს: ონლაინტესტები, ვირტუალური დაფა, დიორამა, სამაგიდო თამაშები, ინტერაქტიული პლაკატი, პოსტერი, ონლაინ კროსვორდი, ვიდეოანიმაცია, მოდი დავწეროთ, სასწავლო პროცესზე დაკვირვება და სხვა.

გავიზიარე რეკომენდაციები სასწავლო პროცესის მართვისას. კერძოდ:

- განსაზღვრეთ როგორ ასწავლით მოსწავლეს დისტანციურად.
- დაგეგმეთ სამუშაო.

- გაარკვიეთ, როგორ დაუკავშირდეთ მოსწავლეს.
- შექმენით სასწავლო რესურსები.
- გაითვალისწინეთ რისკები, რომელიც შეიძლება შეგხვდეთ სწავლების პროცესში.
- შეეცადეთ თავიდან აირიდოთ შეცდომები.
- განსაზღვრეთ ონლაინპლატფორმა შეხვედრების, დავალებების, მონიტორინგისა და ონლაინრესურსებისათვის, კონფერენციისათვის.

აღნიშნული რეკომენდაციები გამოვიყენე პედაგოგიური პრაქტიკის დროს გაკვეთილის ჩატარების პროცესში.

ასევე გამოვიყენე სადამრიგებლო საათის მაინც რა არის სამშობლო ჩატარებისათვის.

შემოგთავაზებთ აღწერას როგორ ვმუშაობდი სადამრიგებლო საათის ჩასატარებლად:

✓ მუშაობის წარმართვისათვის ავარჩიეთ რეალურ დროში პირდაპირი ჩართვა. დავგეგმეთ სტრუქტურა, რომ ჩავატარებდით სხვადასხვა აქტივობების გამოყენებით.

ა) მოვიძიებდით ტექსტს: ნოდარ დუმბაძე მაინც რა არის სამშობლო.

ბ) მოვისმენდით ვიდეოჩანაწერს: მაინც რა არის სამშობლო - ლიტერატურული კომპოზიცია.

✓ მოვამზადებდით პოსტერს ჩემი ფანჯრიდან დანახული სამშობლო. დაგეგმვისას საკუთარ თავს დავუსვი შეკითხვები: რა მინდა გავაცნო ბავშვებს?, რას ვისახავ მიზნად?, როგორ მიიღებენ და შეასრულებენ ინსტრუქციის დავალებას?, როგორ და რითი დავეხმარები?, როგორ განვსაზღვრავ მიღწეულ შედეგს?.

მუშაობის პროცესში დავეხმარე მოსწავლეებს დამოუკიდებლად გარკვეულიყვნენ რა დავალებას ასრულებდნენ და რატომ.

იყო რისკიც: ინტერნეტის შეფერხების გამო დანიშნული დრო გადავაადგილეთ.

როგორც აღწერიდან ჩანს გამოვიყენე მედიაწიგნიერების კომპეტენციის ორივე მხარე. ერთი მხარე: ტექსტების მოძიება, გამოყენება, შექმნა შეძლონ მოსწავლეებმაც და მასწავლებლებმაც. მეორე მხარე: მედიასამყაროში ორიენტირება: ინფორმაციის მოძიება და გაფილტვრა - მხოლოდ მასწავლებელმა, ამით თავიდან ავიცილე მოსწავლეთა გადატვირთვა. მაგრამ გავაცანი და ავუხსენი, როგორ ვეძებე, როგორ დავახარისხე და

მივაწოდე მათ ტექსტი და ლიტერატურული კომპოზიცია. ჩემი გამოცდილება შეუძლიათ გამოიყენონ. სადამრიგებლო საათისთვის ავარჩიეთ zoom-ის 40 წუთიანი კონფერენცია. მოსწავლეებმა გამოიყენეს მიკროფონი, ვიდეო, საკუთარი ეკრანი გაზიარებისათვის.

მედიარესურსების სწორედ შერჩევამ, ტექნიკური შესაძლებლობების რეკომენდაციების დაცვამ შესაძლებლობა მოგვცა სადამრიგებლო საათი საინტერესო და დასამახსოვრებელი ყოფილიყო. განსაკუთრებით ეფექტური იყო ნოდარ დუმბაძის მაინც რა არის სამშობლო, ისე არაფერს არ უხდება ლოცვა, როგორც სამშობლოს. ბავშვებმა დაამატეს ისე არაფერს არ სჭირდება ლოცვა, როგორც სამშობლოს, ეს გადაგვარჩენსო.

ამაღელვებელი იყო საკუთარი ფანχრიდან დანახული სამშობლოს პოსტერები, რომლებიც შექმნეს და წარმოადგინეს მოსწავლეებმა.

ამრიგად, მედიაწიგნიერების კომპეტენციასთან დაკავშირებით საინტერესო ნაშრომები და კვლევებია, რომლებიც გვთავაზობს საჭირო და სასარგებლო რეკომენდაციებსა და რჩევებს.

მკლევარი ნ. ინგოროყვა თვლის, რომ მოსწავლეს განუვითარდეს მედიაწიგნიერების კომპეტენცია, რაც შეაძლებინებს გამოიყენოს მედიაწიგნიერების საშუალებები ცოდნის გასაღრმავებლად, გასაფართოებლად, დაეუფლება ინტერნეტწყაროებიდან საჭირო რესურსების მოძიებას, დახარისხებას, გამოყენებას.

უცხოელი მკლევანი χეიმს პოტერი თავის კვლევაში მედიაწიგნიერება სხვა საკითხებთან ერთად განიხილავს ახალი ამბებისა და საინფორმაციო გზავნილების დამუშავებისათვის საჭირო ცოდნასა და უნარებს, კოგნიტურ, ემოციურ, ესთეტიკურ, მორალურ სფეროში, რომლის გაზიარებით ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით გაირკვა, რომ უფროსკლასელ (X, XI, XII) მოსწავლეთა უმრავლესობა თავს არიდებს ახალი ამბების მოსმენას, რადგან მასში საინტერესოს ვერაფერს ხედავენ, ხშირად უმნიშვნელო საკითხებია გაშუქებული, უქმნის ცუდ განწყობას, რადგან პოზიტიური თითქმის არაფერია.

მოსწავლეთა სურვილია გაითვალისწინონ კათოლიკოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის რჩევა ერთმანეთს უთხარით მხოლოდ კარგი ამბები.

§ 6. ციფრული ინსტრუმენტები მედიაწიგნიერებისათვის

მედიაწიგნიერების კომპეტენციის დასაუფლებლად საჭიროა ინსტრუმენტების - მეთოდების ცოდნა, რომლებიც აამაღლებს სასწავლო პროცესში მედიაწიგნიერების კომპეტენციის გამოყენების ხარისხს.

ამ მიმართებით წყაროების ანალიზმა მიჩვენა, რომ მეთოდური რჩევები და რეკომენდაციები მცირეა და იგი სტატიებშია განფენილი, სადაც ავტორები თავიანთი გამოცდილებით მიღწეულ შედეგებს გვაცნობენ. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ასოცირებული პროფესორის, მენტორ მასწავლებლის ხათუნა ხალვაშის წიგნმა ციფრული ინსტრუმნტები სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის – 2020.

ავტორი ჩვენი უნივერსიტეტის ლექტორია და საშუალება მომცა გავსაუბრებოდი იმ სტუდენტებს, რომლებიც აღნიშნულ წიგნს იყენებენ სასწავლო რესურსად სასწავლო კურსში ისტ - ის გამოყენება სასწავლო პროცესში. მაგისტრატურის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულების სტუდენტებმა, რომელთა შორის ერთი (ლ. გორგაძე) წამყვანი მასწავლებელი გახდა იანვარში, აღნიშნეს, რომ ამ წიგნით სასწავლო პროცესი მნიშვნელოვნად შეიცვალა მოსწავლეთა ჩართულობისა და ინტერესის თვალსაზრისით. მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტებმა, რომლებიც სტატუსის ამაღლების პროცესში არიან მხარდაჭერა გამოხატეს აღნიშნული წიგნის მიხედვით ჩატარებული ლექციების მიმართ და აღნიშნეს, რომ სტატუსის ასამაღლებელ საქმიანობაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს წიგნში მოცემული მასალების გამოყენება.

ელექტრონული რესურსების სასწავლო პროცესში ჩართვა საჭიროა საკლასო სააუდიტორიო სწავლებაში, დისტანციური სწავლებისას უფრო აქტიური ხდება.

დავასახელებთ ზოგიერთ ინსტრუმენტს, რომელიც გამოვიყენე პირადად პედაგოგიური პრაქტიკის დროს, ჩემი შეთავაზებით გამოიყენა სამმა მოქმედმა მასწავლებელმა.

ონლაინ ტესტები გამოვიყენეთ სხვადასხვა ფორმით: მრავალი არჩევითი პასუხით, შესაბამისობის დამყარება - დაწყვილებით, ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაციის ანალიზი, დავალება ღია დაბოლოებით.

მოვიყვანეთ მაგალითი, როცა ონლაინტესტირების გამოყენების მიზანი იყო ყურადღების გამახვილება სიტყვათა მნიშვენელობით შესაბამისობზე, სწრაფი აზროვნების განვითარება.

ინსტრუმენტის-ონლაინტესტირების გამოყენებისათვის გავითვალისწინეთ რეკომენდაციები, რომლის შესაბამისად ტესტში შევიტანეთ მხოლოდ უკვე შესწავლილი კონკრეტული მასალა. ტესტირებამდე ვივარჯიშეთ მსგავსი საკითხების შესრულებაზე, მოკლე დროში შეფასებისთვის შვიმუშავეთ კრიტერიუმები. ტესტირების შედეგების განხილვა ჩატარდა ღია წესით, ყველა ხარვეზის გაანალიზებით, ცხადია მოსწავლის გვარის დაუსახელებლად. ამით შეცდომები განვაზოგადეთ, რათა სხვებსაც არ დაეშვათ მსგავსი, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ შეცდომის დასახელებისთანავე უმეტესობა ამხელდა, რომ ეს მისი შეცდომა იყო.

განხორციელდა უკუკავშირი ანუ გამოვლინდა შეცდომა. გამოითქვა ამ შეცდომის დაშვების მიზეზი და დაისახა გასწორების გზა.

სიტყვათა მნიშვნელობის ტესტები.

ინსტრუქცია: ეკრანზე მოცემულია ორი სვეტი - მათში ჩაწერილია სიტყვები, გთხოვთ გადაადგილოთ სიტყვები (დააწყვილოთ სიტყვათა შესაბამისობის მიხედვით).

1.	1.
2.	2.
3.	3.
4.	4.
5.	5.
6.	6.
7.	7.
8.	8.

ტესტირებისთვის გამოვიყენეთ წიგნში რეკომენდირებული პროგრამები Quizizz - ტესტები და ვიქტორინები მთელი კლასისთვის. ამ პლატფორმის გამოყენებამ აქტიური სწავლა - სწავლების საშუალება მოგვცა. შევძელით თითოეული მოსწავლის მონიტორინგის განხორციელება მოკლე დროში. ამასთან ტესტების გავლის შესაძლებლობა მიეცათ მოსწავლეებს საშინაო დავალების შესრულების დროს, ტესტი შეეძლო აეღო მასწავლებლისგან, შეედგინათ თვითონ.

სასარგებლო გამოდგა პრაქტიკული გამოყენებისათვის წიგნში მოცემული საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი ავტორის მიერ შექმნილი ონლაინტესტირების, მათ შორის შემაჯამებელი ტესტებისა. აღნიშნულის გამოყენება გაადვილა იმან, რომ მკაფიოდ და გარკვევით არის მითითებული ელექტრონული მისამართები.

მრავალი სასარგებლო რჩევებისა, რეკომენდაციებისა და ნიმუშების გაცნობა, გაზიარებით გაკვეთილი საინტერესო ხდება და საშუალებას იძლევა მედიაწიგნიერების კომპეტენცია განვითარდეს ორივე მხრივ, გაცნობა-გამოყენება და შექმნა.

აღვნიშნავ აგრეთვე რომ ზოგიერთ ნაცნობ ელექტრონულ სივრცეს ახალი თვალთახედვით შევხედეთ. კერძოდ მხედველობაში მაქვს იუთუბი პედაგოგებისათვის. ამ არხს ვიყენებდით, მაგრამ მისი საგანმანათლებლო მნიშვნელობა ნაკლებად ან არ ვიცოდით. რჩევების შემდეგ იუთუბის არხზე ვიპოვეთ საინტერესო ვიდეორგოლები, დოკუმენტური ფილმები, ჩავერთეთ როლურ თამაშში პირდაპირი ტრანსლაცია, ავტვირთეთ ჩემი და ბავშვების მიერ გადაღებული ვიდეო და გავუზიარეთ ერთმანეთს.

წიგნი ელექტრონული ინსტრუმენტები სწავლების ხარისხს ამაღლებისათვის ეფექტური დამხმარე საშუალებაა მედიაწიგნიერების კომპეტენციაზე დაუფლების ხარისხის ამაღლებისათვის.

§ 7. მედიის სასწავლო პროცესში გამოყენების ეფექტური საშუალებები

მედიაწიგნიერების კომპეტენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მედიის სასწავლო პროცესში გამოყენება. ამ მიმართებით შემოთავაზებულია სხვადასხვა რეკომენდაციები, რჩევები, როგორც მეცნიერებისაგან, ასევე მოქმედი პედაგოგებისაგან. განსაკუთრებით სჭარბობს მედიაწიგნიერების კომპეტენციის საგაკვეთილო პროცესში ჩართვის მასალები.

რამდენადაც ჩვენი კვლევის სფერო დაკავშირებულია მედიაწიგნიერების კომპეტენციის პრობლემასთან, მრავალთაგან შევჩერდით მედიის სასწავლო პროცესში გამოყენების საშუალებებზე. დისტანციურ სწავლებასთან მიმართებაში განსაკუთრებული მოთხოვნა გაჩნდა ელექტრონულ სახელმძღვანელოებზე და სენსორულ დაფებზე. ამ მიმართებით საინტერესოდ მივიჩნიეთ რუსუდან ქავთარაძის მიერ შემოთავაზებული ელექტრონული სახელმძღვანელოების და სენსორული დაფების აღწერა, დანიშნულება, ფუნქცია, გამოყენება. რ. ქავთარაძის ნაშრომზე დაყრდნობით შემოგთავაზებთ ძირითად საკითხებს ამ მიმართებით.

სასკოლო დისციპლინების სწავლების პროცესში მედიარესურსების სწორი გამოყენება გვაძლევს როგორც სასწავლო საგნის სწავლების ეფექტურობის ამაღლების, ასევე, მედიასაგანმანათლებლო მიზნების მიღწევის საშუალებას. ახალ მედიასაშუალებებს შესწევთ უნარი, მაგალითად, გაზარდონ სწავლების თვალსაჩინოებების შესაძლებლობები (ვიდეო, კომპიუტერული გრაფიკა, მოდელირება), განავრცონ ინდივიდუალური საქმიანობისა და უკუკავშირის შესაძლებლობანი (ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიები), აგრეთვე მრავალფეროვანი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობანი (ტელეკომუნიკაციები). ამასთან, პედაგოგმა უნდა გამოიკვლიოს და გამოიყენოს კონკრეტული მედიასაშუალებების თვისებები საკუთარი საგნის შესაბამისად.

თანამედროვე ცხოვრების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს არა მხოლოდ ინფორმაციული სივრცის მრავალფეროვნება, რომელსაც ფლობს ადამიანი, არამედ სპეციალური საშუალებების ათვისების აუცილებლობა, რომელიც დაეხმარება

მას გაიკვალოს გზა ამ ინფორმაციულ ქაოსში, რაც თავისთავად განსაღვრავს მედიაპედაგოგიკის, როგორც საგანმანათლებლო დისციპლინის აუცილებლობას (Кочегарова 2008).

განათლების ინფორმატიზაცია ეფექტურად განვითარებადი პროცესია, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო ტექნოლოგიების, მათ შორის, ინფორმაციულ კომუნუკაციური ტექნიკის, გამოყენებას, სასწავლო პროცესში სპეციალურ პროგრამულ, ინფორმაციულ და მეთოდურ უზრუნველყოფას მისი ეფექტურობის ამაღლების მიზნით (Кашин 2007).

როდესაც პედაგოგი გაკვეთილზე იყენებს სატელევიზიო გადაცემების მოკლე სიუჟეტებს, აუდიო და ვიდეოფაილებს, რათა მოსწავლეებამდე მიიტანოს შეტყობინების კონკრეტული შინაარსი, დედააზრი, - ამით ის ავითარებს თავის მსმენელებში მოსმენის კულტურას, ახდენს ყურადღების კონცენტრაციას, ავითარებს ინფორმაციის აღქმისა და სწორად გაგების უნარ-ჩვევებს (Hobbs 2011).

თანამედროვე მულტიმედიური საშუალებების განვითარება იძლევა საგანმანათლებლო ტექნოლოგიების რეალიზების საშუალებებს პრინციპულად ახალ დონეზე, რისთვისაც ხდება პროგრესული ტექნოლოგირი ინოვაციების გამოყენება. ინფორმაციის სახვის თანამედროვე სისტემების მულტიმედიური შესაძლებლობანი საგრძნობლად განსხვავდება თავიანთი წინამორბედი ტექნოლოგიებისაგან. ეს განსხვავება ვლინდება არა მხოლოდ ინფორმაციის წარმოდგენის ისეთ საშუალებათა რაოდენობის ზრდაში, როგორიცაა ტექსტი, გრაფიკა, ანიმაცია, ვიდეო, ხმა, არამედ კომპიუტერული პროგრამების შესაძლებლობების შესაბამისად წარმოდგენილ მონაცემთა განსხვავებული ფორმით აუიტორიისათვის მიწოდებასა და მასობრივ გავრცელებაში (Батенькина 2009).

რადგანაც თანამედროვე ახალგაზრდა თაობა გაცილებით მეტ დროს ატარებს მედიასაშუალებებთან ურთიერთობაში, მედიაგანათლების მიზანია, გარდაქმნას ეს ურთიერთობა დადებით გამოცდილებად, რასაც საფუძვლად უდევს ადამიანის პიროვნებისა და შემეცნებითი სფეროს განვითარება და გავრცობა.

მედიასაშუალებების სასწავლო პროცესში გამოყენებას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა საყურადღებოდ მიგვაჩნია ი.ბახურის (Бахур 2012) მოსაზრება, რომლის მიხედვით, მედიასაშუალებების სასწავლო პროცესში გამოიყენება:

- ✓ ხელს უწყობს სწავლების საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და განმავითარებელი ფუნქციის რეალიზაციას;
- ✓ ხელს უწყობს დავალებებისა და სავარჯიშოების შერჩევის პრინციპის გაუმჯობესებას, რაც მათ მეტად თვალსაჩინო და საინტერესო ტიპის დავალებებად და სავარჯიშოებად გარდაქმნის;
- ✓ იძლევა ყურადღების კონცენტრირების საშუალებას მეტად რთულ თემებსა და ცნებებზე;
- ✓ ავითარებს შესაბამის უნარ-ჩვევებს სწავლების ინდივიდუალიზაციისა და დამოუკიდებელი მუშაობისათვის აუცილებელი უნარების განვითარების ხარჯზე.

მედიასაშუალებების საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი პოტენციალი პოულობს რეალიზაციას საგანმანათლებლო დანიშნულების სხვადასხვა სახის პროდუქციაში: სასწავლო, სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, საცნობარო და მხატვრული დანიშნულების მქონე ელექტრონული გამოცემებისა და რესურსების სახით.

საგანმანათლებლო მულტიმედიური პროგრამები გამოიყენება ფრონტალური (სწავლების ფორმა, რომლის დროსაც მასწავლებელი ხელმძღვანელობს მთელი კლასის სასწავლო-შემეცნებით პროცესს, საქმიანობას; ორგანიზებას უწევს მოსწავლეთა თნამშრომლობას განსაზღვრავს ყველასათვის საერთო სამუშაო პროცესს, ტემპს), ჯგუფური და ინდივიდუალური ტიპის სწავლებისათვის კლასში, აგრეთვე დამოუკიდებელი მუშაობისათვის სახლში.

მედიასაშუალებების სასწავლო პროცესში გამოყენების კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს ის ფაქტორი, რომ მათი წყალობით, მასალის შესწავლის პროცესში მოსწავლე თავად განსაზღვრავს სწავლების სიჩქარეს, მასალის სიდიდესა და მისი სირთულის ხარისხს.

განათლების ეფექტურობის პერსპექტივის ამაღლება განპირობებულია საკლასო ოთახების სასწავლო-დიდაქტიკური და ტექნოლოგიური საშუალებებით აღჭურვით, გაკვეთილებისა და სასწავლო მოდულების სახეობების სრულყოფით. უდავოა, რომ

მულტიმედიური ტექნოლოგიები იძლევა დიდაქტიკური ძიების ორი მიმართულების ინტეგრირების საშუალებას. მასწავლებელებს ეძლევათ გაკვეთილების საკუთარი მულტიმედიური პრეზენტაციების ფორმით შექმნის შესაძლებლობა, რაც სხვადასხვა კლასის სპეციფიკისა და სწავლის დონის გათვალისწინებით, ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ინდივიდუალიზაციას. მულტიმედიური ტექნოლოგიების გამოყენება გაცილებით უფრო თვალსაჩინოს და საინტერესოს ხდის საგანმანათლებლო პროცესს მოსწავლეთათვის, ხოლო პედაგოგთათვის იქცევა დადებითი შედეგისა და სტიმულის მომცემ ძალად. ასე მაგალითად, საინტერესოა მედიასაშუალებების გამოყენება მათემატიკური და ქიმია ფიზიკის მიმართულების მქონე საგნების სწავლების პროცესში, რომლის დროსაც შესაძლებელია მოსწავლეებს შევთავაზოთ თვალი ადევნონ ვიდეოექსპერიმენტების, ცდების, ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებას, რომელთა ჩატარებაც შეუძლებელია სკოლის პირობებში პროცესის სირთულიდან და უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე (Бахур 2012).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით კომპიუტერული პროგრამები პირობითად იყოფა 4 ძირითად სახეობად:

- ✓ კომპიუტერულ-ილუსტრილებური პროგრამები (ენაცვლება ჩვეულებრივ თვალსაჩინო სახელმძღვანელოებსა და სწავლების ტრადიციულ აუდიოვიზუალურ საშუალებებს);
- ✓ განმავითარებელი პროგრამები (მიზანმიმართული მოსწავლეთა მეხსიერების, ყურადღების, ლოგიკისა და აზროვნების განვითარებისაკენ);
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამები (გულისხმობს მოსწავლეთა საკვლევ საქმიანობებს, რომელსაც ისინი ახორციელებენ კომპიუტერის საშუალებით, ტრენაჟორ-პროგრამები, რომლებიც ავითარებს ბავშვებში გარკვეულ უნარ-ჩვევებს);
- ✓ მაკონტროლებელი პროგრამები (ხშირ შემთხვევაში, აქ იგულისხმება მოსწავლეთა ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტური ტიპის პროგრამები, რომლებიც გულისხმობს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ გამოკითხვას). (Бахур 2012).

ელექტრონული მატარებლების მეშვეობით შექმნილ მასალათა ერთ-ერთ ძირითად დადებით მხარეს წარმოადგენს სასწავლო მასალების ნაირსახეობანი (ტექსტი, ილუსტრაციები, ანიმაცია), ინტერაქტიულობა, ძიების მყისიერება. ზემოთ აღნიშნულის

მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ელექტრონული სახელმძღვანელო, რომელიც, პირველ რიგში გამოიყენება ახალი ინფორმაციის წარსადგენად, და რომელიც განავრცობს ბეჭდურ გამოცემას. ელექტრონული სახელმძღვანელოები ემსახურება ინდივიდუალურ და ინდივიდუალიზებულ სწავლებას და იძლევა მოსწავლის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმების (ტესქტირების) საშუალებას.

როგორც ახალი ტიპის საგანმანათლებლო საშუალება, ელექტრონული სახელმძღვანელო შეიძლება იყოს ღია ან ნაწილობრივ ღია ტიპის საგანმანათლებლო სისტემა, რომელსაც გააჩნია სახელმძღვანელოს სტრუქტურასა და შინაარსში ცვლილებების შეტანის საშუალება. (ელექტრონული სახელმძღვანელო 2010). ელექტრონულ სახელმძღვანელოს (რომელიც 2010 წლიდან საქართველოს საჯარო სკოლების პირველ კლასებშია გავრცელებული ნეტბუქების სახელწოდებით) აქვს ჩვეულებრივი სახელმძღვანელოებისგან განსხვავებული მრავალი დადებითი თვისება. კერძოდ, ელექტრონულ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ტექსტს თან ახლავს სლაიდების და ვიდეოფრაგმენტების დიდი რაოდენობა, რაც ართულებს მოსწავლეთა მიერ შესასწავლი მასალის აღქმას.

ერთ-ერთი საშუალება არის ელექტრონული სახელმძღვანელო. ელექტრონული სახელმძღვანელო იძლევა მასალის გაცნობის, გამეორებისა და განმტკიცების საშუალებას, განსაკუთრებით კი იმ მოსწავლეთათვის/სტუდენტთათვის, რომლებმაც ამა თუ იმ მიზეზის გამო გააცდინეს გაკვეთილი თუ ლექცია, ან უბრალოდ კარგად ვერ გაიგეს ახსნილი მასალა.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ელექტრონული სახელმძღვანელო უბრალოდ არ უნდა იმეორებდეს ბეჭდურ გამოცემებს - ის უნდა იყენებდეს კომპიუტერული ტექნოლოგიების ყველა თანამედროვე მიღწევას.

ელექტრონული სახელმძღვანელოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს შემდეგი ელემენტები (ელექტრონული სახელმძღვანელო 2010):

1. ელექტრონული სახელმძღვანელო უნდა შეიცავდეს ტექსტური ინფორმაციის მინიმუმს, რადგან ეკრანზე ტექსტის ხანგრძლივი დროის განმავლობაში კითხვა იწვევს გადაღლას, რასაც შედეგად მოსდევს აღქმისა და მასალის შეთვისების უნარის დაქვეითება. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს შრიფტის ზომასა და მოყვანილობას.

სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია იძლევა ტექსტში მნიშვნელოვანი სიტყვებისა თუ ფრაზების გამოკვეთის საშუალებას ფერის ან ფონის შეცვლით, რაც შეუძლებელია ბეჭდურ სახელმძღვანელოში. ეს, ერთი მხრივ, აუმჯობესებს აღქმას, თვალსაჩინოებასა და მთავარ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას, მეორე მხრივ, უნდა ითქვას, რომ გადამეტებულ სიჭრელეს (რასთანაც სიფრთხილე გვმართებს) შეუძლია გამოიწვიოს ყურადღების გაფანტვა და ტექსტის კითხვის გართულება.

2. მსგავსი სახელმძთვანელოები უნდა მოიცავდეს ილუსტრირებული მასალების დიდ რაოდენობას. სახელმძღვალოს მოცულობის შეზღუდვისა და მისი სხვა კომპიუტერებთან ერთად გამოყენების თვალსაზრისით, მიზანშეწოლილია გრაფიკული ფაილების (GIF, JPEG და ა.შ), WMF - ის ტიპის ფერთა გამისა და გრაფიკული ფაილების გამოყენება.

3. ვიდეოფრაგმენტების გამოყენება იძლევა მოვლენებისა და პროცესების დინამიური ასახვის საშუალებას. მიუხედავად ფაილების დიდი მოცულობისა, საჭიროა მათი გამოყენება, რადგან ამ შემთხვევაში იზრდება მოსწავლეთა და სტუდენტთა დაინტერესება და აღქმა, შედეგად კი უმჯობესდება ცოდნის ხარიხი.

4. სწავლების ტრადიციულ ფორმაში, ახალი მასალის ახსნისას, უპირატესობა ენიჭება ვერბალურ საშუალებებს. ელექტრონულ სახელმძღვანელოებში აუდიოფრაგმენტების გამოყენება იძლევა არა მხოლოდ მასალის ახსნის პროცესის ტრადიციულ ფორმებთან მიახლოების, არამედ ახალი მასალის აღქმის გაუმჯობესების საშუალებასაც კი, რის შედეგადაც აქტიურდება როგორც მხედველობითი, ისე სმენითი ცენტრები. UNESCO-ს მონაცემების მიხედვით, აუდიოაღქმის პირობებში მოსწავლის მიერ აითვისება ინფორმაციის მხოლოდ 12%, ვიზუალურის შემთხვევაში-25%, ხოლო აუდიოვიზუალურის შემთხვევაში - 65%.

5. ელექტრონული სახელმძღვანელო უნდა მოცავდეს სახელმძღვანელოს სხვადასხვა შემადგენელ ელემენტსა და სხვა მსგავსი სახელმძღვანელოების ვებგვერდზე გადასვლის საშუალებას. სასურველია, თითოეულ ამგვარ სახელმძღვანელოს თან ახლდეს სასურველ გვერდზე სწრაფად გადასვლის მენიუ.

6. შესაძლებელი უნდა იყოს კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით მაგალითების, ტესტირებისა და სხვა სახის პრაქტიკული სავარჯიშოების ვიზუალურად ჩვენების საშუალება.

7. განსაკუთრებული დიდაქტიკური მნიშვნელობა გააჩნია ტექსტური, გრაფიკული და სხვა სახის მასალის ერთიანობაში წარმოდგენას. ახალი ინფორმაციის აღქმის ხარისხი, განზოგადებისა და ანალიზის საშუალება, ინფორმაციის დამახსოვრებისა და შენახვის სიჩარე, საგანმანათლებლო ინფორმაციის ათვისების სისრულე - მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ გვერდზე (კომპიუტერის ეკრანზე) და რა თანმიმდევრობით არის განთავსებული კონკრეტული ინფორმაცია. რადგან, ბეჭდური გამოცემისგან განსხვავებით, სადაც შესაძლებელია ერთდროულად ორი გვერდის დათვალიერება, შუალედში მოყოლილი ფურცლების ხელში მოქცევით, ამის გაკეთება ელექტრონულ სახელმძღვანელოებში შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ელექტრონული სახელმძღვანელო უნდა იძლეოდეს ნებისმიერი გვერდის მონიშვნის, შემდგომში კი მათი ჩამონათვალის დემონსტრირების საშუალებას, ნებისმიერი თანმიმდევრობის მიხედვით.

8. ელექტრონული სახელმძღვანელო უნდა სთავაზობდეს თავის მომხმარებელს რეკომენდირებული ლიტერატურის ნუსხას, რომელიც გამოიცემა ტრადიციული ბეჭდური ფორმით, რომელთა გავრცობა შესაძლებელია არა მხოლოდ ჟურნალგაზეთების სტატიების, სამეცნიერო კომფერენციების კრებულთა და ა.შ. ელექტრონული მისამართებით (ლინკებით), არამედ ინტერნეტში და საგანმანათლებლო დაწესებულების სერვერზე განთავსებული ელექტრონული პუბლიკაციების ელექტრონული მისამართებით.

ელექტრონულ სახელმძღვანელოებთან ერთად, აღსანიშნავია საგანმანათლობლო, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის საკმაოდ მდიდარი ინტერნეტრესურსი, რომლის გამოყენება აძლიერებას და ავითარებს ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებს. საჭიროა მათ შესახებ ინფორმირებულობა და სათანადო კომპეტენციების დაუფლება.

საინტერესო სიახლედ და დადებით პერსპექტივად მიგვაჩნია ბიბლიოთეკების ელექტრონულ ქსელში ჩართვა და ისეთი სისტემის დანერგვა, რომელსაც რიდერებით სარგებლობას უწოდებენ (კომპიუტერში ლიტერატურის გადაფურცვლით წაკითხვა).

თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს ნებისმიერ პედაგოგს განავრცოს თავისი მეთოდური ტექნოლოგიები მულტიმედიური საშუალებებით. ერთ-ერთ ასეთ საშუალებას წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყანაში აპრობირებული, ინტერაქტიული სმარტდაფები (მოზრდილი სენსორული დაფა,

რომელიც კომპიუტერის სამუშაო მაგიდის გადიდებულ ვერსიას გვიჩვენებს (სმარტდაფა 2011)), რომლებიც ხელს უწყობს პედაგოგებს ახალი ტექნილური შესაძლებლობების, იდეებისა და საშუალებების გამოყენებით მოსწავლეებში ინტერესის გაღვივებაში, მათი ინტელექტუალური, ემოციონალური და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის მიზნით.

საქართველოში მსგავსი ინოვაცია პირველად განხორციელდა 2011 წლის 15 სექტემბერს, როცა თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში გაიხსნა ჯეოსელის კლასი, ხოლო ამავე წლის 7 ნოემბერს კლასი გაიხსნა ყვარლის მეორე საჯარო სკოლაში (ჯეოსელის კლასი: 1). 2012 წლის 17 სექტემბერს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი კლასი წარმატებული მომავლისათვის ამოქმედდა ქალაქ ბათუმის №8 საჯარო სკოლაში (ჯეოსელის კლასი: 2). ჯეოსელის კლასი ულტრათანამედროვე ტექნიკითაა აღჭურვილი, მასში დამონტაჟებულია ინტერაქტიული სმარტდაფა და 13 მონიტორი. ულტრათანამდროვე ტექნიკის საშუალებით, მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ ჩაატარონ ინტეგრირებული გაკვეთილები. მონიტორები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას უზრუნველყობს. ყვარლის მუნიციპალიტეტში ამოქმედებული ჯეოსელის კლასიდან მოხდა თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში არსებულ „ჯეოსელის“ კლასთან ონალინჩართვა და მოსწავლეებთან გასაუბრება (ჯეოსელის კლასი: 1).

აქვე საინტერესოა იმის აღნიშვნა, თუ რას წარმოადგენს თანამედროვე ეპოქის საგანმანათლებლო-ტექნიკურ სიახლეთა ერთ-ერთი საშუალება, რომელიც ცნობილია ინტერაქტიული დაფის სახელწოდებით: როგორ ფუნქციონირებს, რა ტიპის ინფორმაციულ დაფებს განასხვავებენ, რისთვის იყენებენ და საჭიროა თუ არა მათი სკოლებში გამოყენება.

ინტერაქტული დაფა წარმოადგენს უზარმაზარ სენსორულ პანელს, რომელზედაც მიერთებული კომპიუტერიდან ხდება სამუშაო მაგიდის გამოსახულების პროეცირება პროექტორის საშუალებით, რაც იძლევა სწავლების პროცესში ადამიანის ყველა აუცილებელი სენსორული სისტემის, კერძოდ კი - ვიზუალურის, სმენითისა და კინესთეტიკურის (მაღალი მგრძნობელობა შეხების მიმართ) გამოყენების საშუალებას (ინტერაქტიული გაფა 1).

ამგვარი განლაგების დაფებს პირდაპირი პროექციის დაფებს უწოდებენ, რადგან, ხშირ შემთხვევაში, პროექტორს განალაგებენ უშუალოდ პანელის წინ, ან ჭერში ისეთი დახრილი კუთხით, რომ პროქტორიდან გადმოცემული გამოსახულება პირდაპირ დაფაზე აისახებოდეს. ინტერაქტიული დაგფების ეს სახეობა წარმოადგენს ყველაზე მარტივ ფორმას, მაგრამ, ამავდროულად, მას გააჩნია მნიშვნელოვანი უარყოფითი მხარე - მისი გამოყენების შემთხვევში, მასწავლებელი იძულებულია იდგეს გვერდულად, რათა არ მოხდეს პროეცირებული გამოსახულების გადაფარვა. მსგავსი ნაკლოვანება არ გააჩნია უკუპროექციის ინტერაქტიულ დაფას, რომლის გამოყენების დროს პროექტორს ამაგრებენ უშუალოდ სენსორული ეკრანის უკან, ხოლო პედაგოგი დაფასთან მიახლოების დროს, არ ფარავს ეკრანზე მოცემულ გამოსახულებას, რაც ძალზე მოსახერხებელ და მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს დაფასთან მუშაობის პროცესში. გარდა ამისა, პროექტორის შუქი არ ხვდება პედაგოგს თვალში და არ აფერხებს მის მიერ მასალის წარდგენის მსვლელობას (ინტერაქტიული დაფა 2).

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ინტერაქტიულ დაფებს განასხვავებენ სენსორულ ეკრანზე თითის ან მარკერის (ე.წ. სტილუსის) ადგილმდებარეობის განსაზღვრის სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენების მიხედვით, კერძოდ, არსებობს სენსორულ-რეზისტენტური, ოპტიკური, ინფრა-წითელი ტექნოლოგიით აღჭურვილი, ულტრაბგერითი და ელექტრომაგნიტური დაფები (ინტერაქტიული დაფა 2).

- ✓ **სენსორულ-რეზისტენტური** ტექნოლოგია გამოიყენება ინტერაქტიულ დაფებში, რომლებიც აღჭურვილია ორმაგი ზედაპირით: მათ შორის მოქცეული სენსორები განსაზღვრავენ დაფაზე შეხების არეალს და მიღებულ სიგნალს გადასცემენ კომპიუტერს.
- ✓ **ოპტიკური ტექნოლოგიები** ასევე იძლევა დაფაზე ნებისმიერი საგნით მუშაობის საშუალებას. ინფრაწითელი ტექნოლოგიის სენსორები ხედავენ საგანს, რომელიც საკმაო მაძილზე უახლოვდება დაფის ზედაპირს, განსაზღვრავენ მის კოორდინატებს, შემგედ კი მიღებულ სიგნალს გადასცემენ კომპიუტერს.
- ✓ **ინფრაწითელი** და ულტრაბგერითი ტექნოლოგიები იძლევა დაფასთან მხოლოდ სპეციალური მარკერით მუშაობის საშუალებას. დაფასთან შეხების დროს, მარკერი გადმოსცემს ინფრაწითელ და ულტრაბგერით სიგნალს, რომელსაც აფიქსირებს დაფაზე განთავსებული სენსორები.

- ✓ **ელექტრომაგნიტური ტექნოლოგია** ასევე გულისხმობს სპეციალური მარკერის გამოყენებას დაფასთან მუსაობის დროს. მარკერის ადგილმდებარეობას, ამ შემთხვევაში, განსაზღვრავს დაფის ზედაპირზე განლაგებული სენსორები.

ყველა ამ დაფის დაყოფა შესაძლებელია 2 პირობით ქვეჯგუფად: დაფები, რომელთა მართვა შესაძლებელია ხელით, და დაფები, რომელთა მართვისთვისაც აუცილებელია სპეციალური მარკერის გამოყენება. თითიეულ მათგანს გააჩნია საკუთარი უპირატესობები: ერთ შემთხვევაში ის განისაზღვრება მართვის სიმარტივითა და სისწრაფით, ზედმეტი ხელსაწყოების გამოყენების გარეშე, ხოლო მეორე შემთხვევაში მარტივია ისეთი დავალებების შესრულება, რომელთათვის აუცილებელია შეხების სიზუსტის განსაღვრა.

ინტერაქტიული დაფების გამოყენება შესაძლებელია არა მხოლოდ სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში, არამედ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებშიც კი (სადაც ის გარკვეულწილად აღიქმება, როგორც საინტერესო სათამაშო). ამ მხრივ, მათ შორის განსხვავებას წარმოადგენს სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი ინფორმაციის მიწოდება და ასახვა, ინფორმაციისა, რომელიც გამოირჩევა შესასრულებელი დავალების სიმარტივით (ნახატების შერჩევა, ფერებისა და რიცხვების შესაბამისად სურათების დალაგება, მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემა, მარტივი ამოცანების შესრულება და ა.შ).

სასურველია სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ინტერაქტიული დაფების გამოყენება ელექტრონული ინტერაქტიული ინსტრუმენტების სახით, როგორც თანამედროვე, მძლავრი, საჭირო ინფორმაციის მოძიების უსწრაფესი გზა, მიღებული ინფორმაციის მარტივად აღქმის საშუალება, და როგორც კლასში ურთიერთობის შემოქმედებითი ატმოსფეროს ფორმირების საშუალება.

ინტერაქტიული დაფების სასკოლო გაკვეთილებზე გამოყენებით, მასწავლებელს საშუალება ეძლევა მონიტორის მეშვეობით თვალყური ადევნოს მოსწავლეების მუშაობის პროცესს, საჭიროების შემთხვევაში გაუწიოს მათ დახმარება, გაუგზავნოს კომენტარი. ამასთან (ჯეოსელის კლასი 1; ინტერაქტიული დაფა 1):

- ✓ მრავალფუნქციურ სასკოლო ოთახში შესაძლებელია ჩატარდეს: ინგლისურის, ქართულის, ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, გეოგრაფიის, გეომეტრიის გაკვეთილები;

- ✓ ინტერაქტიული დაფების გამოყენებით, მასწავლებლებს ეძლევათ საშუალება გაცილებით უფრო ნათელი გახადონ გაკვეთილები, შეარჩიონ სწავლების სხვადასხვა სტილი, იმუშაონ სხვადასხვა დანართითა და რესურსებით, მოახდინონ სწორი ორიენტაცია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოთხოვნილებების გათვალისწინებით შესასწავლი მასალის მრავალფეროვნებაში;
- ✓ ინტერქატიული დაფების გამოყენება გაცილებით უფრო საინტერესოს და სახალისოს ხდის გაკვეთილს. სამუშაო პროცესში მომენტალურად ერთვებიან ყველაზე ნაკლებად დაინტერესებული მოსწავლეებიც კი, რადგან თავადაც მშვენივრად ახერხებენ ორიენტაციას ციფრულ სამყაროში, და აქტიურად იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახის ელექტრონულ საშუალებებს;
- ✓ ინტერაქტიული დაფა გაკვეთილზე - ეს არის შეუცველელი ხელსაწყო დამოუკიდებელი კოლექტიური მუშაობის ორგანიზებისათვის, დისკუსიებისათვის, ყველა იმ პროცესისათვის, რომელთა საშუალებით ხდება მოსწავლეთა მიერ არგუმენტირებისა და საკუთარი აზრის გადმოცემის უნარების განვითარება;
- ✓ ინტერაქტიულ დაფაზე წინასწარ მომზადებული მეცადინეობების მასალები (დიაგრამები, ნახატები, ტესტები, ტაბულები, მუსიკა, რუკები, გაკვეთილის სხვა რესურსები) იძლევა გაკვეთილის სწრაფი ტემპის შენარჩუნების საშუალებას. მოსწავლეებსა და მასწავლებელს არ უხდებათ დროის ხარჯვა ტექსტის ჩვეულებრივ დაფაზე დასაწერად ან ეკრანიდან კლავიატურაზე გადასასვლელად. ონლაინრეჟიმში ინტერაქტიულ დაფაზე შესაძლებელია გაკვეთილის მასალებთან მუშაობა - კომენტარების გაკეთება, შესწორებების, დამატებითი ინფორმაციის შეტანა, მთელ სამყაროსთან კავშირის დამყარება ინტერნეტქსელის საშუალებით;
- ✓ პედაგოგებს ეძლევათ საკუთარი მეცადინეობების კოლექციების შექმნის საშუალება სხვადასხვა საგნისა და თემის მიხედვით. მათ, ასევე, შეუძლიათ მასალების გაცვლა სხვა პედაგოგებთან, უკვე არსებული, დამუშავებული მასალის გამოყენება და მისი ადაპტირება კონკრეტული აუდიტორიის შესაძლებლობების მიხედვით. ამასთან, ინტერაქტიული დაფები სტიმულს მატებს მასწავლებლებს სწავლებისათის ახალი მიდგომების ძიებაში, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიონალურ ზრდას;

- ✓ ინტერაქტიული დაფა იძლევა გაკვეთილზე ერთდროულად გამოსახულების, ტექსტის, ხმის, ვიდეოს, ინტერნეტრესურსებისა და სხვა სახის საჭირო მასალების წარმოდგენის საშუალებას;
- ✓ მასწავლებლებს, ასევე ეძლევათ საშუალება შექმნან და განახორციელონ გამოკითხვა რეალური დროის რეჟიმში, მოახდინონ ტესტირების შედეგების დემონსტრირება მოსწავლეების წინაშე. შესაძლებელია გაკვეთილების ჩაწერა, განსხვავებული მასალების, ტესტების, დამოუკიდებელი საკონტროლო ნაშრომების მონაცემთა ბაზის შექმნა. ნებისმიერ მოსწავლეს მიეცემა საშუალება ნებისმიერ დროს დაუბრუნდეს გაკვეთილს, შეისწავლოს გამოტოვებული მასალა, შეამოწმოს საკუთარი თავი;
- ✓ სხვადასხვა საგნის სწავლებისას გამოყენებული იქნას ვირტუალური ლაბორატორიები და სასწავლო იარაღები (სახაზავი, ტრანსპორტირი, ფარგალი და სხვადასხვა ფიგურის ასაგები ხელსაწყოები);
- ✓ მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, შეინახონ და შემდგომ გამოიყენონ ჩატარებული გაკვეთილების ელექტრონული ვერსია.

სასწავლო მასალის გადამუშავების, შექმნისა და წარმოდგენის კიდევ ერთ მედიასაშუალებას წარმოადგენს პრეზენტაციების ე.წ. PowerPoint-ის პროგრამაში მომზადება, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებლად შესრულებულ დავალებათა, მოხსენებათა, ანგარიშთა და ა.შ პრეზენტაციის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ფორმას. PowerPoint-ის გამოყენება იძლევა სწავლების თვალსაჩინოების დიდაქტიკური პრინციპის ახალ საფეხურზე გამოყენებისა და მოსწავლეთა მოტივაციის იმ შემთხვევაში გაზრდის საშუალებას, თუკი თავად პედაგოგმაც და მოსწავლემაც კარგად იციან, თუ როგორ გამოიყენონ სწორად მოცემული პროგრამის რესურსები სასწავლო გეგმის, მომზადების ფსიქოლოგიური ასპექტების, პრეზენტაციის გაფორმაბისა და წარმოდგენის შესაბამისად. ელექტრონული პრეზენტაციების სახით წარმოდგენილი მასალა საგრძნობლად ზრდის ჩვეულებრივი სახელმძღვანელოების შესაძლებლობებს ანიმაციის ეფექტების, ხმოვანი და ვიდეორესურსის წყალობით, რადგან კომოიუტერთან მუშაობის პროცესში ჩართულია მოსწავლეების აღქმის სმენითი და ვიზუალური არხები, რაც იძლევა არა მხოლოდ აღსაქმელი ინფორმაციის მოცულობის გაზრდის საშუალებას, არამედ მისი აღქმის ძალის გაზრდის საშუალებასაც (Осин 2004: 320).

ამასთან, ისევე, როგორც სხვა საგნების შესწავლის დროს, უცხო ენის სწავლებისას, ხშირად, ადგილი აქვს შეუსაბამობას სწავლების მიზანსა და მის საბოლოო შედეგს შორის, რადგან სასწავლო კურსის შეზღუდვა არ იძლევა იმ შედეგს, რომელიც საბოლოოდ მისცემს ადამიანს საშუალებას გამოიყენოს მის მიერ მიღებული ცოდნა რეალურ ცხოვრებაში. ეს ფაქტორი განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება რამდენიმე თვეზე გათვლილ უცხო ენის კურსებთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, ელექტრონული მედიასაშუალებების გამოყენება მოსწავლეებს საშუალებას მისცემს გაკვეთილზევე შეიქმნან რეალური ცხოვრების პირობებში ყოფნის განცდა (თუნდაც ხანმოკლე პერიოდით), რომლის დროსაც გამოიყენებდნენ იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რასაც უფლებოდნენ მთელი კურსის განმავლობაში.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ თანამედროვე ელექტრონული მედიასაშუალებები (კერძოდ, ელექტრონული წიგნი და ინტერაქტიული დაფა) ყოველთვის როდია ხელმისაწვდომი ყველა პედაგოგისათვის, რაც, თავისთავად, არ უნდა გამორიცხავდეს გაკვეთილის ხარიხსის ვარდნას. ამიტომაც პედაგოგი იძულებულია მიმართოს სხვა, ჩვეულებრივ (ტრადიციულ) ხელსაწყოებს, რომელიც მას საშუალებას მისცემს უზრუნველყოს მოსწავლეთათვის გაკვეთილის მიმზიდველობა. იმ შემთხვევაში, თუკი ელქტრონული მედიასაშუალებების გამოყენების დროს უკანა პლანზე გადადის პედაგოგის, როგორც მასალის მიმწოდებლის როლი და მის მოვალეობას წარმოადგენს ინსტრუქტორის, ანუ სამუშაო პროცესის ხელმძღვანელის ფუნქციის შესრულება, - ასეთ დროს ძირითადი დატვირთვა მოდის თავად მასწავლებელზე, მის პროფესიონალიზმზე, საგნის ძირეულ ცოდნაზე, მეთოდებისა და სასწავლო უნარ-ჩვევების სწორ და დროულ გამოყენებაზე ჯგუფის (აუდიტორიის) დონის გათვალისწინებით.

ამრიგად, მედიაპედაგოგიკის მედიაწიგნიერების პერსპექტივის გაძლიერებას ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიები, რომელთა სასწავლო პროცესში ეფექტიანად გამოყენებისათვის საჭიროა ინტერაქტიული მეთოდების ფლობა, პრობლემის მიხედვით ინტერნეტმისამართების კატალოგის შედგენა, მოსწავლეებში ინტერესისა და მოტივაციის ამაღლება.

წყაროებზე დაყრდნობით (ზახაროვა 2007 და სხვები), კვლევებისა და პირადი პედაგოგიური გამოცდილების საფუძველზე, გთავაზობთ რეკომენდაციებს:

1. ტრადიციული დავალებების სპეციალურ ფორმაში დამუშავების საშუალება. პირველ რიგში ის მოიცავს ჰიპერტექსტის დამუშავების არეალს. მაგალითად, შეტყობინებების, მოხსენებების, ანგარიშების, მულტიმედია-პრეზენტაციების და ა.შ. მომზადება.

2. სწავლების პროცესში დამხმარე ძალა: ელექტრონულ ლექსიკონებთან, ენციკლოპედიებთან, კონკრეტული საგნების სწავლებისას ინტენეტწყაროებთან მუშაობის პროცესში მედიასაშუალებების შესაძლებლობების წყალობით სასწავლო მასალის წარმოდგენის დროს ფართოვდება მათი, როგორც ამა თუ იმ ობიექტის თვალსაჩინო მასალის, გამოყენების საშუალება.

დასკვნები

•მედიაწიგნიერების კომპეტენციის რაობის განსაზღვრა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გულისხმობს მისი დაუფლების ორ მხარეს: ერთი მხრივ მრავალგვარი მულტიმედია ტექსტების აღქმა - გააზრებას, ინტერპრეტაციას, გამოყენებას, შექმნას, მეორე მხრივ მედიასამყაროში ორიენტირებას, სწორი არჩევანის გაკეთებას და მოპოვებული ინფორმაციის კრიტიკულ შეფასებას.

•მედიაწიგნიერების კომპეტენცია დაკავშირებულია ეროვნული სასწავლი გეგმით გათვალისწინებულ სხვა გამჭოლ კომპეტენციებთან და ხელს უწყობს მათი გამოყენების ხარისხის ამაღლებას.

•მედიაწიგნიერების კომპეტენცია დაკავშირებულია კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს განზოგადებულ სწავლის შედეგებთან. ამასთან ამ მიმართებით გამოსადეგი რეკომენდაციები და რჩევები სათანადოდ არ არის დამუშავებული და მიწოდებული მეთოდურ სახელმძღვანელოებში.

•მედიაწიგნიერების კომპეტენციის დაუფლებისათვის გაწეული საქმიანობის სასურველი შედეგის მიღწევის ერთ-ერთი წინაპირობაა მასწავლებლის მიერ მულტიმედიის საგანმანათლებლო პოტენციალის ცოდნა და გაცნობიერება.

•მულტიმედია წარმოადგენს მრავალკომპონენტიან სივრცეს, რომელიც იძლევა საშუალებას ტექსტის, გრაფიკის, ვიდეოს, მულტიპლიკაციის გამოყენების შესაძლებლობას და აფართოებს სასწავლო პროცესში

კომპიუტერის გამოყენების შესაძლბლობას, ხელს უწყობს სწავლების ეფექტურობას.

•მულტიმედიური საშუალებები მოსწავლეებში იწვევს სიხარულს, რომელიც თავის მხრივ მასტიმულირებელ როლს თამაშობს შესასწავლი საკითხებისადმი, ინტერესისა და განწყობის ამაღლებაში.

•სწავლის პროცესში მულტიმედიის ეფექტური გამოყენების პირობას წარმოადგენს გაკვეთილების დაგეგმვა მულტიმედიური საშუალების დიდაქტიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით. მულტიმედია ტექსტების შერჩევასა და გამოყენებაში მასწავლებელს ეკირსება პასუხისმგებლობა, რათა ტესქტები იყოს შემეცნებითი, ზნეობრივი, ხელს უწყობდეს საკუთარი ქვეყნის ტერიტორიების დაცვას, გამდიდრებას და წინსვლას სიკეთისკენ.

•დღეს მთავარი გამოწვევბია სწორი ინფორმაციის პოვნა და შეფასება ვისიმე მოთხოვნილების შესაბამისად და მოპოვებული ინფორმაციის სინთეზირება სასარგებლო ცოდნისა თუ კავშირებისთვის. მედიაწიგნიერება კრიტიკულ აზროვნებასთან, რეფლექსიასა და ეთნიკურ საქციელთან ერთად შეადგენს იმ ძირითად შინაარს, რასაც დღევანდელი სამყაროს განათლებული ადამიანი შეიძლება ეწოდოს.

•მედიაწიგნიერების კომპეტენციასთან დაკავშირებით საინტერესო ნაშრომები და კვლევებია, რომლებიც გვთავაზობს საჭირო და სასარგებლო რეკომენდაციებსა და რჩევებს.

•მკლევარი ნ. ინგოროყვა თვლის, რომ მოსწავლეს უნდა განუვითარდეს მედიაწიგნიერების კომპეტენცია, რაც შეაძლებინებს გამოიყენოს მედიაწიგნიერების საშუალებები ცოდნის გასაღრმავებლად, გასაფართოებლად, დაეუფლება ინტერნეტწყაროებიდან საჭირო რესურსების მოძიებას, დახარისხებას, გამოყენებას.

•უცხოელი მკლევანი ჯეიმს პოტერი თავის კვლევაში მედიაწიგნიერება სხვა საკითხებთან ერთად განიხილავს ახალი ამბებისა და საინფორმაციო გზავნილების დამუშავებისათვის საჭირო ცოდნასა და უნარებს, კოგნიტურ, ემოციურ, ესთეტიკურ, მორალურ სფეროში, რომლის გაზიარებით ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით გაირკვა, რომ უფროსკლასელ (X, XI, XII) მოსწავლეთა უმრავლესობა თავს არიდებს ახალი ამბების მოსმენას, რადგან მასში საინტერესოს ვერაფერს ხედავენ, ხშირად უმნიშვნელო საკითხებია გაშუქებული, უქმნის ცუდ განწყობას, რადგან პოზიტიური თითქმის არაფერია.

•მოსწავლეთა სურვილია გაითვალისწინონ კათოლიკოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის რჩევა ერთმანეთს უთხარით მხოლოდ კარგი ამბები.

•მედიაპედაგოგიკის მედიაწიგნიერების პერსპექტივის გაძლიერებას ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიები, რომელთა სასწავლო პროცესში ეფექტიანად გამოყენებისათვის საჭიროა ინტერაქტიული მეთოდების ფლობა, პრობლემის მიხედვით ინტერნეტმისამართების კატალოგის შედგენა, მოსწავლეებში ინტერესისა და მოტივაციის ამაღლება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბოჭორიშვილი 2013 - მ. ბოჭორიშვილი „მასწავლებელი სასწავლო რესურსის ავტორი“.
2. ბოჭორიშვილი 2013 - მ. ბოჭორიშვილი „პერეტენციალური დასწავლა და პედაგოგიური პრაქტიკა“.
3. ეროვნული 2018-2024 - ეროვნული სასწავლო გეგმა.
4. ინტერნეტრესურსი - „კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩო 2019“ - https://eqe.ge/ka/page/parent/787/erovnuli-kvalifikatsiebis-charcho.
5. ინგოროყვა - ნ. ინგოროყვა - მედიაწიგნიერება.
6. მასწავლებლის 2014 - მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი „ნაწილი I”.
7. მასწავლებლის 2019 - მასწავლებლის წიგნი „გაკვეთილები დისტანციური სწავლებისათვის“.
8. მაჭარაშვილი 2019 - ნ. მაჭარაშვილი „მედიაწიგნიერება სკოლებში“ - http://mastsavlebeli.ge/?p=21570.
9. მედიაწიგნიერება 2010 - მედიაწიგნიერება „სამოქალაქო განვითარება“ - https://www.civiceducation.ge/ka/lessons.
10. მოსიაშვილი 2019 - თ. მოსიაშვლი „მედიაწიგნიერება და სხვა გამჭოლი კომპეტენციები“- http://ncp.ge/ge/curriculum/general-part/general-part/chapter-viii-cross-cultural-competencies.
11. პოტერი - ჯ. პოტერი „მედიაწიგნიერება“.

12. ფირჩხაძე 2013 - მ. ფირჩხაძე „კრეატიული პედაგოგიკა და თანამედროვე გამოწვევები“- http://mastsavlebeli.ge/?p=1928.
13. ქავთარაძე 2012 - რ. ქავთარაძე „მედიაწიგნიერება რეალობა და პერსპექტივები საქართველოში“.
14. ყურაშვილი 2017 - მასწავლებლის წიგნი - გაკვეთილები დისტანციური სწავლებისათვის.
15. ხალვაში 2020 - ხ. ხალვაში „ელექტრონული ინსტრუმენტები სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის“.